ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თედო დვალიშვილი

რუსული რბილი ძალა საქართველოში: 2012-18 წლების პროდასავლური განწყობების ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

გიორგი მელიქიძე, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

თბილისი 2018

ანოტაცია

წინამდებარე ნაშომი შექმნილია საქართველოს მიმართ რუსეთის რბილი ძალის პოლიტიკის შესწავლის მიზნით, რომლის საგარეო პოლიტიკური კურსი პრო-ევროპულია და წინააღმდეგობაში მოდის რეგიონში რუსეთის ინტერესებთან. ბოლო პერიოდში ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისკენ წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, საქართველოში პროდასავლური განწყობების შემცირების ხარჯზე პრო-რუსული განწყობების ზრდა თვალშისაცემი გახდა.

კვლევა ძირითადად მოიცავდა 2012-2018 წლის პერიოდს და ეფუძნებოდა შემდეგ ჰიპოთეზას, რომ რუსული რბილი ძალის გავლენის ზრდა საქართველოში პროდასავლური განწყობების შემცირებას იწვევს. ნაშრომში გამოკვლეულია, თუ რატომ რჩება რუსეთი მიმზიდველი იმის ფონზე, რომ იგი იყენებს ხისტ ძალას საქართველოს მიმართ და მისი ტერიტორიების 20% აქვს ოკუპირებული. საკითხის შესასწავლად გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდები: მეორადი წყაროების ანალიზი და ექპერტებთან ინტერვიუ.

კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოების განწყობების ცვლილების ტენდენციები განპირობებულია ბოლო პერიოდში საქართველოში რუსეთის რბილი ძალის პოლიტიკის გააქტიურებით, ასევე ევროსკეპტიციზმის ზრდით, რასაც ხელი შეუწყო როგორც რუსეთის ანტიდასავლურმა პოლიტიკამ, ასევე ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებმა. საქართველოს მოსახლეობაში აშკარად არსებობს ინფორმირებულობის პრობლემა, რაც თავისმხრივ არასწორი მოლოდინების განწყობების ჩამოყალიბების მიზეზი გხდება. ნაშრომში გამოკვეთილია რუსეთის რბილი ძალის მახასიათებლები და მისი ინსტრუმენტები, ასევე ის ფაქტორები, რაც კრემლის რბილ ძალას ერთისმხირვ მოქმედების შესაძლებლობას აძლევს, მეორესმხრივ კი ზღუდავს მის პოტენციალს.

საკვანძო სიტყვები: რბილი ძალა, რუსეთი, საქართველო

Abstract

Foregoing work is prepared for the purpose of analyzing the soft power of Russian politics towards Georgia, which has pro-European policy and is in a resistance to the interests of Russia in the region. Lately, in spite of the steps toward integration in the Euro Atlantic space, on the basis of reducing pro-western mood having having faith in pro-Russian feelings became more noticeable.

The research mainly covered the period of 2012-2018 years and was based on the following hypothesis that the increase of Russian soft power in Georgia has led to a reduction of pro-western sentiments. The research examines why Russia remains attractive in light of the fact that it uses hard power towards Georgia and occupies 20% of its territories. Qualitative methods of research have been used to analyze the problem: analysis of secondary sources and interview with experts.

The research showed, increasing of the Euroscepticism in Georgia, was caused because of activating the Russian soft power politics, which was simulated by Russian Anti-Western politics, as well as ongoing domestic events. There is clearly a problem of awareness among the Georgian population that is responsible for the formation of incorrect expectations. In the work there is an extra focus about the features of Russian soft power and its tools, also the factors, which allow soft power of Kremlin to operate and on the other hand limits its potential.

Key Words: Soft Power, Russia, Georgia

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....5

თავი 1. რუსული რბილი ძალის განვითარება.....19

1.1. რუსული რბილი ძალის განვითარების ისტორია.....19

1.2. რუსული რბილი ძალის დისკურსი.....21

1.3. რუსული რბილი ძალის კრიტიკა.....22

თავი 2. რუსული რბილი ძალის ინსტრუმენტები საქართველოში.....24

2.1. ეკონომიკა, როგორც რუსული რბილი ძალის ინსტრუმენტი.....24

2.1.1. რუსული კომპანიების გავლენა ქართულ ბაზარზე.....24

2.1.2. საქართველოს საექსპორტო მაჩვენებლები რუსეთთან მიმართებაში.....26

2.1.3 რუსეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები და მისი დინამიკა.....28

2.2. რუსული რბილი ძალის გავლენა სამოქალაქო საზოგადოებაზე.....29

2.3 რუსული გავლენა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში.....34

2.4. რუსული რბილი ძალის ზეგავლენა მედიასაშუალებებზე.....37

2.5. მართლმადიდებლობა, როგორც რუსული რბილი ძალის ინსტრუმენტი.....41

თავი 3. პროდასავლური განწყობების დინამიკა საქართველოში 2012 წლიდან დღემდე.....44

თავი 4. რუსული პროპაგანდის ძირითადი მახასიათებლები.....49

4.1. რუსული პროპაგანდის ტაქტიკური მიმართულებები.....49

4.2. რუსული პროპაგანდის ნარატივები და მითები.....52

4.3. საქართველოში ევროსკეპტიციზმის ზრდის მიზეზები.....55

დასკვნა.....58

გამოყენებული ლიტერატურა.....60

დანართი N1.....63

შესავალი

პოლიტიკურ პროცესებში „რბილი ძალის“ გამოყენება უძველესი დროიდან ხდება, თუმცა თანამედროვე, უფრო მეტად გლობალიზებულმა მსოფლიომ მისი საშუალებით მოქმედების ახალი შესაძლებლობები გააჩინა. მართალია, „რბილი ძალის“ გამოყენების პრაქტიკას უფრო მეტად დასავლურ სახელმწიფოებს უკავშირებენ, მაგრამ ბოლო დროს ამ კონცეპტის განვითარებას უამრავი სხვა სახელმწიფო ცდილობს. მათ შორისაა საქართველოს მთავარი სტრატეგიული ოპონენტი რუსეთის ფედერაციაც, რომელსაც პროდასავლური მეზობლის მისწრაფებების საპირწინედ საკუთარი გეოსტრატეგიული მიზნები გააჩნია, რომელიც ქართულ ინტერესებთან, რა თქმა უნდა, თანხვედრაში არ მოდის. რუსეთი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული და ამ ტერიტორიებს დე-იურე დამოუკიდებლობასაც აღიარებს, საქართველოში არც „რბილი ძალის“ გამოყენებაზე ამბობს უარს. ამ მხრივ იგი განსაკუთრებით ბოლო წლებში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გააქტიურდა და ეს საკითხი დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ დღის წესრიგში საკმაოდ მწვავედ დგას.

„ქართული ოცნების“ მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის ცვლილებამ რუსეთის მიმართ, ასევე მათ მიერ ქვეყნის შიგნით რეპრესიულ და ძალადობრივ მეთოდებზე უარის თქმამ ხელი შეუწყო იმ პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ინტერეს-ჯგუფებისა და მედიასაშუალებების გააქტიურებას, რომლებიც პრო-რუსული იდეოლოგიის მატარებლები არიან.

გამომდინარე აქედან კვლევა ძირითადად მოიცავს 2012 წლის შემდგომ პერიოდს, როცა რუსეთის მხარდამჭერი სუბიექტების გააქტიურების პარალელურად ხდება ქვეყნის უფრო მეტი ინტერგაცია ევროკავშირთან (ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება, უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით გადადგმული ნაბიჯები).

კვლევის ობიექტია თანამედროვე საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემა, რუსეთის ფედერაციის რბილი ძალის

აქტიურობა საქართველოში. კვლევის საგნია პერიოდი 2012 წლიდან დღემდე საქართველოში ხელისუფლების ცვლილებისა და ახალი ხელისუფლების მიერ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მცდელობის ფონზე.

რუსული რბილი ძალა აქტუალური საკითხია როგორც საქართველოში ისე სხვა სახელმწიფოებშიც. ევროპული სახელმწიფოები უკვე სრულად აცნობიერებენ რუსული დეზინფორმაციისა და საინფორმაციო ოპერაციების საფრთხეს და ცდილობენ შესაბამისი ზომები მიიღონ.

საქართველოში რუსული რბილის ძალისა და სახელმწიფო პროპაგანდის გააქტიურებაზე უკვე წლებია მიმდინარეობს აქტიური დისკუსია. ამის ფონზე რიგი სახელმწიფო სტრუქტურები, ისევე როგორც სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები ცდილობენ წინ აღუდგნენ რუსული რბილი ძალის საფრთხეს.

2017 წლის მაისში საქართველომ მიიღო თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი, სადაც რუსეთის რბილი ძალა ოფიციალურად იქნა აღიარებული ქვეყნის უსაფრთხოების ძირითად საფრთხედ. სახელმწიფო სტრატეგიაში ამის შესახებ ოფიციალურად პირველად იქნა განცხადებული, და, მაშასადამე, შეიძლება, იმ ქმედებათა შედეგად ჩაითვალოს, რასაც რუსული პროპაგანდა და რუსული გავლენა ახორციელებს უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში.

„რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის განახლების საფრთხის გარდა, საქართველოს უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა რუსეთის მიერ ჰიბრიდული ომის მეთოდების გამოყენებით, მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტის ხელყოფა. ყირიმის ანექსიამ და უკრაინის აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა, რუსეთის მიერ განხორციელებულმა კიბერ შეტევებმა და საინფორმაციო ომის გაძლიერებამ მნიშვნელოვნად გაზარდა უსაფრთხოების გამოწვევები გლობალურ დონეზე. საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა რუსეთის „რბილი ძალის" პოლიტიკასთან გამკლავება, ასევე, მოსალოდნელი ჰიბრიდული ომების სპეციფიკის გათვალისწინება და მასთან ადაპტაცია. რუსეთის

„რბილი ძალის“ მოქმედებები ქვეყნის შიგნით მიმართულია საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტებისკენ, ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის დისკრედიტაციასა და პრორუსული და ანტიდასავლური ძალების გაძლიერებისკენ. საინფორმაციო სივრცეში მნიშვნელოვნად იზრდება პრორუსული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მოწინააღმდეგე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია-საშუალებების რიცხვი, რომელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის სამინისტროს დისკრედიტაცია წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვისა და ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტიტუტია.“ - ნათქვამია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2017-2020 წლების საკომუნიკაციო სტრატეგიაში.

ის ფაქტი, რომ საქართველომ ოფიციალურად აღიარა რუსული რბილი ძალა სერიოზულ საფრთხედ მისი უსაფრთხოებისათვის, გვაფიქრებინებს, რომ თბილისი ადგილობრივ საზოგადოებაში პოტენციური განხეთქილების ნიშნებს ხედავს, რომელთა გამოყენება რუსეთს საკუთარ ინტერესებისთვის შეუძლია.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში არსებულ პროდასავლურ განწყობებზე რუსეთის რბილი ძალის ზემოქმედების გაანალიზება, რათა დადასტურებული ან უარყოფილი იქნას ნაშრომის დაშვება, რომელიც გულისხმობს, რომ საქართველოში პროდასავლური განწყობების შემცირება რუსეთის რბილი ძალის აქტიურობის გაზრდით არის გამოწვეული. ამ დაშვების საფუძველზე იკვეთება სხვა ვარაუდებიც - კერძოდ, ის, რომ ბოლო საქართველოში გააქტიურებული ანტიდასავლური რიტორიკით გამორჩეული ორგანიზაციები რუსული რბილი ძალის შემადგენელი ნაწილია, აგრეთვე ისიც რბილი ძალის გააქტიურება გამოწვეულია ხელისუფლების პოლიტიკით, რომელიც რუსეთთან უერთიერთობის ნორმალიზებას ემსახურება და აიძულებს მთავრობას პასიურ როლში ყოფნას.

კვლევის ამოცანებად კი განსაზღვრულია შემდეგი:

- დადგინდეს თუ როგორ იცვლება პროდასავლური განწყობები საქართველოს

მოსახლეობაში 2012 წლიდან დღემდე;

- საქართველოში რუსეთის რბილი ძალის წყაროების იდენტიფიცირება;
- რუსული რბილი ძალის გავლენის განსაზღვრა პროდასავლურ განწყობებზე;

ანალიზისათვის საჭირო **საკვლევი კითხვა** მდგომარეობს შემდეგში: განაპირობებს თუ არა რუსეთის რბილი ძალის გააქტიურება საქართველოში პროდასავლური განწყობების შემცირებას? გარდა ამისა, ჩამოყალიბებულია საკვლევი ქვეკითხვებიც:

საკვლევი კითხვიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია კვლევის **ჰიპოთეზა**:

რაც უფრო იზრდება რუსული რბილი ძალის გავლენა საქართველოში მით უფრო მცირდება პროდასავლური განწყობები

კვლევის დროს გამოიყოფა ორი ძირითადი ცვლადი:

დამოუკიდებელი: რუსეთის რბილი ძალის აქტიურობის ზრდა - რაშიც იგულისხმება რუსეთის ფედერაციის მხრიდან საკუთარი გავლენის გაზრდის მცდელობა არაძალადობრივი მეთოდებით და ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით როგორებიცაა მაგალითად ეკონომიკა, კულტურა და ა.შ.

რუსეთის რბილი ძალის აქტიურობის ზრდის გაზომვა მოხდა შემდეგი ინდიკატორებით:

- ეკონომიკური დამოკიდებულების დინამიკა რუსეთ-საქართველოს შორის საქართველოში რუსული კომპანიებისა და ფულადი გზავნილების მოცულობის ცვლის საფუძველზე.

- ანტიდასავლური დამოკიდებულებებით გამორჩეული პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გავლენები

- ქართულ მედიასივრცეში რუსული პროპაგანდის ელემენტები.

დამოკიდებული: პროდასავლური განწყობების შემცირება, რაშიც იგულისხმება მოსახლეობაში სკეპტიციზმის ზრდა ევროპული და ჩრდილოატლანტიკური სტრუქტურების მიმართ.

პროდასავლური განწყობების გაზომვა მოხდება შემდეგი ინდიკატორების საშუალებით:

- NDI-ს და IRI-ს გამოკითხვების შედეგები 2012 წლიდან დღემდე, რომლებიც ეხებოდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას

- პრორუსული პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერის დინამიკა

- პრორუსული მედიასაშუალებებისა და სამოქალაქო საზოგადოების სუბიქტების აქტივობები

მოკლედ მიმოვიხილავ იმ ლიტერატურას, რომელიც საკვლევის საკითხის ვალიდური ანალიზისათვის გამოვიყენე. რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ შევისწავლე ჯოსეფ ნაის „რბილი ძალის“ კონცეფციის ჭრილში, გამომდინარე აქედან დავეყრდენი ნაის ნაშრომებს „ძალის მომავალი“ და „რბილი ძალა: მსოფლიო პოლიტიკაში წარმატების მიღწევის საშუალება“ (*The Future of Power* & *Soft power: the means to success in world politics).* მათში მოცემულია ფუნდამენტური ინფორმაცია „რბილი ძალის“ და იმ რესურსების შესახებ, რომელთაც იგი ეყრდნობა.

რუსული „რბილი ძალის“ პრაქტიკაში დანერიგილი ასპექტების ზოგადი მიმოხილვისათვის გამოვიყენე როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები, თუმცა ძირითადად უცხოელი მკვლევარების ინფორმაციებსა და შეფასებებია მოყვანილი.

ჯოზეფ ნაიმ 1990 წელს გამოაქვეყნა სტატია სათაურით "რბილი ძალა", რომელშიც გამოთქვამს ვარაუდს, რომ საერთაშორისო სისტემაში ხისტი ძალის მნიშვნელობა მცირდება. ეს კი გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით, როგორებიცაა

სახელმწიფოების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, ტრანსნაციონალური აქტორების გააქტიურება, ტექნოლოგიების გავრცელება და ა.შ.

ნაი თავის სტატიაში - "საჯარო დიპლომატია და რბილი ძალა" (2008) აღნიშნავს, რომ ერთმა სახელმწიფომ შეიძლება სცადოს მეორეზე ზეგავლენისა და ძალაუფლების მოპოვება იძულების, ძალისმიერი მეთოდებით, თუმცა არც ერთი მათგანი არ არის ეფექტური და ახალი უფრო ეფექტურ საშუალებას წარმადგენს "რბილი ძალა". ნაი აღნიშნავს, რომ "რბილი ძალა" არის ურთიერთთანამშრომლობის და მიზიდულობის გაზრდის შესაძლებლობა, რათა სხვებმა გააკეთონ ის, რაც სურს რბილი ძალის გამომყენებელს. რბილი ძალით შესაძლებელია სხვათა უპირატესობის შეცვლა საკუთარი პოზიციების სასარგებლოდ და ეს არის ძალის გამოყენების საკმაოდ მიმზიდველი ფორმა. (Nye, J. 2008)

ნაი წერს, რომ სახელმწიფოს რბილი ძალა ეყრდნობა სამ ძირითად რესურსს: კულტურა - რომელიც წარმოადგენს პრაქტიკისა და ღირებულებების კომპლექტს, რომელმაც შეიძლება შექმნას მიმზიდველობა. მაღალი კულტურა - ხელოვნება, ლიტერატურა, და სხვა - ეს ყველაფერი მიმზიდველია ელიტისათვის, ხოლო მასიური კულტურა, რაშიც მოიაზრება ფილმები, მუსიკა და ა.შ., უფრო ფართო მასებზეა გათვლილი; მეორე რესურსია პოლიტიკური ღირებულებები - ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურა და ტრადიციული ღირებულებები და მათი რაეალიზება საშინაო და საგარეო ასპარეზზე; მესამე რესურსს წარმოადგენს საგარეო პოლიტიკა, რომელიც უნდა იყოს სანდო, ლეგიტიმური და გამოირჩეოდეს მორალური ავტორიტეტის მაღალი დონით. ნაი ამბობს, რომ ეს რესურსები შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი საშუალება უცხოური საზოგადოების ყურადღების მიღებისა და მოზიდვის მიზნით (Nye, J., 2004).

"რბილი ძალის" კონცეფციის იგვლივ არსებობს საკმაოდ ბევრი კრიტიკული ნამუშევარი, რომლებიც ეკუთვნის ექსპერტებსა და მეცნიერებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. რამოდენიმე ნაშრომი შეიქმნა რბილი ძალის კონცეფციაში გაურკვევლობებისა და შეზღუდვების შესწავლის მიზნით. ამრიგად, „რბილი ძალა“, როგორც კონცეფცია, რომელიც გვთავაზობს ძალაუფლების ზემოქმედების სპეციფიურ მეთოდებს და ავტორის მიერ მსოფლიო პოლიტიკაში წარმატების

მიღწევის უმთავრესი საშუალებად არის მიჩნეული, მრავალი აკადემიურ დებატისა და დისკუსიის საგნად არის ქცეული.

სინგაპურის ეროვნული უნივერსიტეტის წარმომადგენელს იუნის ბიალი მატერნს ეკუთვნის სტატია - "რატომ არ არის რბილი ძალა არც ისე რბილი: რეპრეზენტატულობის ძალა და მსოფლიო პოლიტიკის მოყვარულთა მიმზიდველობის სოციოლინგვისტური კონსტრუქცია მსოფლიო პოლიტიკაში", სადაც წერს, რომ «მიზიდულობის" კონცეფცია საკმაოდ ორაზროვანია. ნებისმიერი ენის მიღმა არსებობს "რეპრეზენტატულობს ძალა", რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არაფიზიკურია, მაინც წარმოადგენს იძულებითი ძალის მიქანიზმს, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის რეპრეზენტატულობაზე. იგი განიხილავს რბილი ძალის ფენომენს, როგორც ხისტი ძალის ერთგვარ გაგრძელებას, რომელსაც უბრალოდ განსხვავებული საშუალებები გააჩნია (Mattern B., 2005).

<u>შეზღუდვები კონცეფციაში:</u>

სხვადასხვა მკვლევარის მიერ იქნა გამოთქმული მოსაზრებები „რბილი ძალის" კონცეფციის შეზღუდვებსა და მისი ფართოდ გამოყენების შესაძლებლობაზე საერთაშორისო სისტემაში საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და ეროვნული ინტერესების მიღწევის თვალსაზრისით.

ტაკეში მაცუდამ სტენფორდის უნივერსიტეტიდან 2007 წლის წიგნში "რბილი ძალა და მისი საფრთხეები: აშშ-ს კულტურული პოლიტიკა ომისშემდგომ იაპონიაში და მუდმივი დამოკიდებულება", სცადა რბილი ძალის გაგება არა როგორც ცალმხრივი "კულტურულ იმპერიალიზმის", არამედ როგორც ორმხრივი გაცვლის მექანიზმისა. წიგნში განხილული ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ომისშემდგომი იაპონიის-ამერიკის შეერთებული შტატების კულტურული ურთიერთობები. მან განაცხადა თავისი იდეის შესახებ, რომელიც მხარს უჭერდა კვლევას, რომ შეერთებულმა შტატებმა მიიღო დომინანტური დამოკიდებულება, ურთიერთობა კი შეიძლება დახასიათდეს როგორც „დომინანტურ-სუბორდინაციული" (Matsuda T., 2007)

ჰარვარდის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი ნიალ ფერგიუსონი თავის პოლიტიკურ სტატიაში "კვლავ ფიქრი: ძალაუფლება" აფიქსირებს პოზიციას, რომ შეერთებული შტატები არის წამყვანი სახელმწიფო სამხედრო ძალაუფლების გამო, მისი უზარმაზარი თავდაცვის ბიუჯეტი კი ეკონომიკური ზრდისა და პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირების გარანტია. ნაის მოსაზრებას, რომ შეერთებულმა შტატებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მსოფლიო ურთიერთობებში მისი რბილი ძალის გამოყენებით, ფერგიუსონი არ ეთანხმება. ფერგიუსონი ამბობს, რომ რბილი ძალა ზედმეტად "რბილია" ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესების მისაღწევად. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მულტინაციონალური კომპანიების უდიდესი ნაწილი სწორედ ამერიკის შეერთებული შტატებიდან არიან, ისინი ვერ შექმნიან "მიმზიდველობას" ამერიკული კულტურის მიმართ. მან მოიყვანა მაგალითი: მიუხედავად იმისა, რომ ისლამურ სამყაროში მცხოვრები ბავშვები კოკა-კოლის, მაკდონალდსის, ამერიკულ მუსიკისა და ფილმებისგან იღებენ სიამოვნებას, ეს არ ცვლის მათ აზრს შეერთებულ შტატების მიმართ და არ უნერგავს სიყვარულს ამ ქვეყნის მიმართ.

სტატიის დასასრულს, ფერგიუსონი აკეთებს დასკვნას, რომ ძალაუფლების არსებითი ელემენტებია მატერიალური ნივთები, როგორიცაა "იარაღი, საკვები, ხალხი, ფული და ნავთობი", რაც ყველაზე ეფექტური გზაა ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების მისაღწევად. ფერგიუსონი ასევე არ აიგნორებს რწმენის ძალის მნიშვნელობას, რადგან მას სჯერა, რომ "რწმენა ვერ გადაადგილებს მთებს, მაგრამ მას შეუძლია გადაადგილოს ადამიანები". იდეოლოგია და ფსიქოლოგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძალაუფლების ეფექტურობის გააზრებაში და სწორედ ამან შეიძლება დიდწილად გაზარდოს ძალაუფლების გავრცელების უნარი. ფერგიუსონმა ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ ძალაუფლების გავრცელება მორალზეცაა დაყრდნობილი, ამიტომ არის ხალხის ფართო მასისათვის სანდოობის და ლეგიტიმურობის დამტკიცება ძალზე მნიშვნელოვანია (Ferguson N., 2009).

ტოდ ჰოლი, ტორონტოს უნივერსიტეტიდან, თავის სტატიაში "გაურკვეველი მიზიდულობა: რბილი ძალის კრიტიკული განსჯა, როგორც ანალიტიკური კატეგორია“ გვთავაზობს თავის მოსაზრებებს კონცეფციაში არსებულ გაურკვევლობასა და შეზღუდვებზე. ჰოლი ამბობს, რომ ვინაიდან "რბილი ძალა"

მსოფლიო მასშტაბით ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ, ეს კონცეფცია გახდა პრაქტიკის კატეგორიის ნაწილი და არა ანალიზის კატეგორიისა. მისი თქმით, რბილი ძალის გამოყენების მექანიზმის გაგებაში მნიშვნელოვანია, განიხილოს გარკვეული საკითხები, როგორიც არის იმ რესურსების გამოყენება, რომელიც ქმნის ქვეყნის „მიმზიდველობას“. ჰოლი სკეპტიკურად უყურებს ამ რეურსების ეფექტურობას და მიიჩნევს, რომ ეს არ არის გარანტირებული მექანიზმი ინტერესების მისაღწევად.

რაც შეეხება "პოლიტიკურ ფასეულობებს", რომელიც ნახსენებია ნაის რბილი ძალის კონცეფციაში, ჰოლის აზრით, ერი მხოლოდ იმ ღირებულებების სპეციფიკურ ვერსიებს იღებს, რომლებიც ახლოსაა მის ფასეულობებთან და რომელიც მოგვიანებით შეიძლება ქვეყნის იდენტობის ნაწილიც გახდეს. თუმცა საკმაოდ რთული საკითხია როგორ უნდა განვსაზღვროთ არის კონკრეტული ღირებულება ერის იდენტობის ნაწილი თუ არა. შესაძლოა ორ სახელმწიფოს ჰქონდეს გარკვეული საერთო ღირებულებები თუმცა ეს არ შეიძლება აღვიქვათ როგორც გარდაუვალი მიზიდულობა (Hall T., 2010).

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, სახელმწიფო პოლიტიკაში "მოზიდვა" არსებობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში რაიმე მატერიალური მოგება არსებობს. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მხარდაჭერა შეუძლებელია არამატერიალური მოტივაციით, როგორც უბრალოდ, საერთო ღირებულებების საფუძველზე. სახელმწიფოს ინტერესებია არის მთავარი მოტივატორი (Barnett M. & Duvall R.,2005)

"რბილმა ძალამ" მსოფლიო მასშტაბით მოიპოვა სიმპათიები და ქვეყნები გეგმავენ გამოიყენონ საკუთარი რბილი ძალის რესურსები მათი სასურველი საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. მაგრამ კითხვა რჩება, შეუძლია რბილ ძალას ჩაანაცვლოს ხისტი ძალა? ასევე ვის შეუძლია გააკონტროლოს ის? თანაბრად მნიშვნელოვანია მისი პოტენციური გავლენის ხარისხის ცოდნა.

კოლინ გრეი წერს, რომ რბილი ძალა სახიფათოა, რადგან პოტენციურად ძირს უთხრის სამხედრო ძალასა და ეკონომიკურ მამოძრავებელ ძალას.

ის ამბობს, რომ არსებობს კონფლიქტები, რომელთა მოგვარება არ შეიძლება ისეთი საშუალებებით, როგორიცაა დიპლომატია. საბოლოოდ კი ამას მივყავართ დასკვნამდე, რომ მსგავს შემთხვევაში ქვეყანას სჭირდება იყოს მზად საომარი მოქმედებებისთვის. დღესდღეობით მიუხედავად იმისა, რომ ხისტი ძალის გამოყენება გარკვეულწილად შემცირდა, იგი კვლავ რჩება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტად საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევისათვის,

გრეი აღნიშნავს, რომ სამხედრო ძალის გამოყენება არ არის მოძველებული ჭკვიანი "რბილი ძალის" ალტერნატივის არსებობის გამო. ეს იმიტომ, რომ სამხედრო ძალები ემორჩილებიან სამთავრობო უწყებებს, ხოლო რბილი ძალის რესურსების დიდი ნაწილი არ არის პოლიტიკის მკეთებელი აქტორების მფლობელობაში და არ კონტროლდება მათ მიერ. წორედ ამიტომ არ შეიძლება ხისტი ძალის უნიკალური მნიშვნელობის უარყოფა, რადგან მხოლოდ ის შეიძლება იყოს ეროვნული ინტერესების მიღწევის და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეუცვლელი ინსტრუმენტი. უფრო მეტიც, რბილი ძალის რესურსების არაკონტროლირებადობის გამო გრეი მას საშიშ კონცეფციადაც კი მიიჩნევს.

გრეი მიიჩნევს, რომ "რბილი ძალა" უნდა იმუშაოს მხოლოდდამხოლოდ შერჩევით სფროებში და დატოვოს სხვა სფეროები, რომლებიც უფრო ხისტი ძალის ზემოქმედებას მოითხოვენ. მისი რეალისტური პერსპექტივიდან რბილი ძალა არ არის ის ფენომენი, რომელიც შეიძლება იქცეს საგარეო პოლიტიკის აუცილებელ ინსტრუმენტად, ვინაიდან გლობალურ კონცეფციაში რბილი ძალა გრეის აზრით საკმაოდ „გულუბრყვილოა“ და მთლიანად მასზე დაყრდნობა არ შეიძლება. (Gray C.S., 2011)

როგორც ვხედავთ საკმაოდ დიდი ნაწილი ექსპერტებისა კრიტიკულად უყურებს ნაის კონცეფციას და ბევრ კითხვის ნიშანს სვამს რბილი ძალის რესურსებთან და რბილი ძალის შეზღუვებთან დაკავშირებით. თუმცა მიუხედავად ამისა ბევრი ქვეყანა ცდილობს დანერგოს მის საგარეო პოლიტიურ დოქტრინაში რბილი ძალის ფენომენი.

ჩემი აზრით, მიუხედავად მრავალმხრივი კრიტიკისა ნაის თეორიაში წარმოდგენილი მოსაზრებები მნიშვნელოვანია თანამედროვე მსოფლიოში. ვფიქრობ,

რომ შეუძლებელია ერთმანეთისაგან ბოლომდე გავმიჯნოთ რბილი და ხისტი ძალები ვინაიდან ხშირად სწორედ მათი ეფექტური ერთობლივი მოქმედება არის სასურველი შედეგების მომტანი. არც იმის მტკიცება მიმაჩნია სწორად, რომ რომელიმე მათგანის მნიშვნელობა აკნინებს მეორისას. ამრიგად, ჩემი აზრით რბილი და ხისტი ძალები კიარ გამორიცხავენ ერთმანეთს, არამედ ავსებენ.

ძალა საერთაშორისო პოლიტიკაში ძალიან მნიშვნელოვანი, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე რთული და სადავო ცნებაა. ზოგი განმარტავს მას, როგორც უნარს განსაზღვრო ან შეეწინააღმდეგო რაიმე ცვლილებას, გქონდეს შესაძლებლობა მიიღო, რაც გსურს. ძალა ასევე შეიძლება გაგებული იყოს როგორც რესურსი. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში არის საჭირო კონტექსტის განსაზღვრა. მაშინაც კი, თუ კონკრეტულ აქტორზე ვსაუბრობთ, არ შეგვიძლია ვთქვათ რომ მას გააჩნია ძალა იმის დაკონკრეტების გარეშე თუ რისი გაკეთების საშუალება აქვს, ვის მიმართ და რა საკითხის გარშემო (Nye, J. 2011).

რბილი ძალა შედარებით ახალი კონცეფციაა, რომელიც ჯ.ნაიმ 1990 წელს შემოიღო და განავითარა თავის შემდგომ ნაშრომებში. თუმცა თავად ნაიც აღნიშნავს, რომ მისი გამოვლინება უძველესი დროიდან ხდებოდა. „რბილი ძალის“ კონცეფციის შემოქმედად მიჩნეულია ამერიკელი მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯოზეფ ნაი (Joseph Nye). 2004 წელს მან თავის ნაშრომში „რბილი ძალა - მსოფლიო პოლიტიკაში მიზნის მიღწევის საშუალება“ (*Soft Power: The Means to Success in World Politics*) სრულად წარმოადგინა აღნიშნული კონცეფცია. სწორედ ამ კონცეფციის ფარგლებში იქნება მიმოხილული რუსეთის ფედერაციის პოლიტიკის ასახსნელად.

„უხეში ძალის“ თეორიისაგან განსხვავებით, რომელიც იძულებისა და ზეწოლის მექნიზმებს იყენებს, „რბილი ძალის“ თეორია სასურველი მიზანის მისაღწევად თანამშრომლობისა და მიმზიდველობის მექანიზმებს ეფუძნება და იდეოლოგიურ-ინტელექტუალურ რესურსებს ანიჭებს უპირატესობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია, „რბილი ძალის“ კონცეფცია ნეიმ შემოიტანა მეცნიერულ

თეორიაში,
თუმცა პრაქტიკაში იგი გაცილებით ადრეც არსებობდა.

რბილი ძალა არის უნარი/საშუალება მიიღო ის რაც გსურს თანამშრომლობით, სხვისი დარწმუნებით, საკუთარი მიმზიდველობით და არა იძულებით (Nye, J., 2004) ნაი ასევე განასხვავებს *პასიურ* და *აქტიურ* რბილ ძალას, პირველია მაშინ როდესაც ქვეყანა თავის მხრივ არის მიმზიდველი რბილი ძალის აქტიური პროექციის მცდელობის გარეშე, მეორე დაკავშირებულია ქვეყნის მიზანმიმართულ პოლიტიკასთან შექმნას მიმზიდველი სახე სხვადასხვა საშუალებებით სახალხო დიპლომატიით, პროგრამებით, დახმარებით.

გარდა ამისა, ზემოქმედების თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს ორ ფორმა: *პირდაპირი* და *არაპირდაპირი* (Nye, J., 2011). პირდაპირია, როდესაც სამიზნე სახელმწიფოს მთავრობა მოექცევა სხვისი რბილი ძალის გავლენის ქვეშ. არაპირდაპირია, როდესაც იგი ხდება მიმზიდველი საზოგადოებისთვის და სხვა პარტიებისთვის, რომლებიც შემდეგ გავლენას ახდენენ ქვეყნის მთავრობაზე და მათ გადაწყვეტილებებზე (Nye, J., 2011).

ჯ.ნაის თეორიის მიხედვით, არსებობს რამდენიმე რესურსი, რომელსაც ემყარება რბილი ძალა: კულტურა, პოლიტიკური ღირებულებები და საგარეო პოლიტიკა. ამ რესურსების ეფექტურად გამოყენების შემთხვევაში სახელმწიფო ზრდის თავისი მიმზიდველობის ხარისხს.

მართალია, რბილ ძალასთან ხშირად ასოცირდება ისეთი რესურსები როგორიცაა კულტურა, იდეები, ღირებულებები, უნდა აღინიშნოს, რომ ხისტი ძალის საშუალებები (სამხედრო, ეკონომიკური) შეიძლება რბილ ძალასაც განაპირობებდეს, ეს დამოკიდებულია კონტექსტზე და იმაზე, თუ როგორაა აღქმული სხვის მიერ იძულებით შექმნილმა ინსტიტუტმა მოგვიანებით შესაძლოა შეიძინოს ლეგიტიმურობა სხვების თვალში. დიდი ეკონომიკა არის არა მარტო სანქციების ან მოსყიდვის საშუალება, არამედ მიმზიდველობის წყაროსაც წარმოადგენს. ასევე ზოგი

ქვეყანა შესაძლოა მოიხიბლოს სხვა სახელმწიფოს “უძლევლობის მითით”, ანუ დიდი სამხედრო შესაძლებლობები გარკვეულწილად შეგვიძლია მივიჩნიოთ რბილი ძალის ერთ-ერთ გამოხატულებად (Nye, J., 2004).

ბოლო პერიოდში ქვეყნები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან რბილი ძალით საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, თუმცა მისი გამოყენება გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. მაგალითად, ხისტი ძალისგან გასხვავებით რბილი ძალის მოქმედების შედეგი დიდადაა დამოკიდებული თავად სამიზნეზე. მისი შედეგები თვალსაჩინო ხდება გრძელვადიან პერსპექტივაში, ხშირად კი პოლიტიკური რელობა მოვლენების დაჩქარებას მოითხოვს. ასევე პრობლემატურია ისიც, რომ რბილი ძალის ინსრუმენტები არაა მთლიანად სახელმწიფო კონტროლის ქვეშ (Nye, J., 2011).

საკითხის შესასწავლად გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდები: ინტერვიუ ექსპერტებთან, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა რუსეთის რბილი ძალის შესახებ და ასევე მეორადი წყაროების ანალიზი.

თვისებრივი მეთოდების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის ის, რომ ეს მეთოდები საშუალებას იძლევა დავინახოთ სამყარო უშუალოდ კვლევის ობიექტის თვალით. გამომდინარე იქედან რომ თვისებრივი მეთოდების გამოყენებისას მკვლევარს მიზნად აქვს დასახული ობიექტის ინდივიდუალური მოსაზრების ან ქცევის გაგება, ეს მეთოდი ხშირად განიხილება „ინტერპრეტაციულობის“ ფარგლებში.

კვლევის თვისებრივი მეთოდები ნალებადაა ფორმალიზებული ამიტომაც მათი გამოყენება მეტად იძლევა „მოქნილობის“ საშუალებას. ეს ყველაფერი მკვლევარს გარკვეულწილად აძლევს თავისუფლება, თუმცა ის ფაქტორი რომ მკაცრი ინსტრუქციების მორჩილება არ არის საჭირო, თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას სულაც არ ხდის ადვილს, რადგანაც ძალზედ ბევრია დამოკიდებული მკვლევარის სუბიექტურ გადაწყვეტილებებზე (ზურაბიშვილი,თ. 2006),

კვლევა ასევე ემყარება მეორადი წყაროების ანალიზს: თემის გარშემო არსებულ ლიტერატურას - წიგნებს, აკადემიურ ჟურნალებსა და სტატიებს. აკადემიური ნაშრომების გარდა, კვლევაში გამოყენებულია მედიასაშუალებების მონიტორინგის, ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის, უცხოური კაპიტალის თაობაზე მომზადებული ანგარიშები.

ნაშრომში მოყვანილი რაოდენობრივი მაჩვენებლები ემყარება საქართველოს სხვადასხვა საჯარო დაწესებულების (ეროვნული ბანკის, სტატისტიკის სამსახურის) სტატისტიკურ მონაცემებს. ხოლო პრო-რუსული და პრო-ევროპული განწყობების შეფასება ხდება საზოგადოებრივი გამოკითხვების შედეგების მიხედვით, რომელიც საქართველოში ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და სხვა მსგავსი ორგანიზაციების მიერ პერიოდულად ტარდება.

კვლევისათვის თვისებრივი მონაცემების შეგროვების ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ინტერვიუს მეთოდია. წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია ექსპერტული ინტერვიუები საკითხითან დაკავშირებით მომუშავე ექსპერტებთან. საკითხი საკმაოდ სპეციფიურია და შესაბამის ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს, ასეთ შემთხვევაში კი ექსპერტული ინტერვიუ ყველაზე ოპტიმალური მეთოდია.

გარდა ამისა, ამგვარი ინტერვიუს მთავარი ღირსება ისაა, რომ ის საშუალებას გვაძლევს როგორც ჩვენ, მკვლევრებს, ასევე რესპონდენტებს უშუალოდ ინტერვიუს მსვლელობისას წამოვწიოთ ან განვავითაროთ ახალი თემები, რომლებიც აქტუალურია გამოკვლევისათვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო არ იქნა წინასწარ გათვალისწინებული კვლევის დაგეგმვის ეტაპზე. უშუალოდ ინტერვიუს პროცესში წამოჭრილი ახალი თემების განვითარება შესაძლებელი ხდება, რამდენადაც სადისკუსიო გეგმა არ მოითხოვს, ზედმიწევნით ზუსტად დავიცვათ იქ დასმული კითხვების ფორმულირება და თანამიმდევრობა, არამედ გარკვეულ თავისუფლებას გვანიჭებს. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს იმას, რომ სიღრმისეული ინტერვიუ ნაწილობრივ სტრუქტურირებული ინტერვიუების რიცხვს განეკუთვნება (ზურაბიშვილი,თ. 2006).

თავი1. რუსული რბილი ძალის განვითარება

1.1. რუსული რბილი ძალის განვითარების ისტორია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი ცდილობს არ დაკარგოს გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოებზე, ხელი შეუშალოს მათ მისთვის არასასურველ ორგანიზაციებთან და ალიანსებთან დაახლოვებაში და ეს ქვეყნები კვლავაც საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენოს. ამისათვის 1990-იანი წლების შემდეგ რუსეთმა პოსტსაბრჭოთა სივრცეში ხელი შეუწყო რამდენიმე შეიარაღებული კონფლიკტის გაღვივებას, რაც ყველა შემთხვევაში დასრულდა ამ სახელმწიფოებში ცენტალური ხელისუფლების დასუსტებით და სეპარატისტული რეგიონების წარმოქმნით, სადაც საკუთარი საჯარისო ნაწილები სამშვიდობო კონტიგენტის სტატუსით განათავსა. ამით კი მნიშვნელოვანი სამხედრო უპირატესობა მოიპოვა. ამრიგად, რუსეთის საგარეო პოლიტიკა ძირითადად ხისტ მეთოდებს ემყარებოდა და რბილი ძალის ნიშნებს ნაკლებად ატარებდა.

რუსეთის რბილი ძალის გააქტიურება 2000-იანი წლებიდან იწყება. მას შემდეგ რაც ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წამოწყებულმა ახალმა აღმოსავლურმა პოლიტიკამ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მომხდარმა ე.წ. „ხავედროვანმა რევოლუციებმა“ მნიშვნელოვნად შეცვალეს ძალთა ბალანსი რეგიონში, რუსეთმა საკუთარი პოლიტიკის შეცვლა დაიწყო. ამ პროცესებში რუსეთთმა დაინახა დასავლეთის მზარდი გავლენა და როლი, რაც საფრთხეს უქმნიდა მის ინტერესებს პოსტ-საბჭოთა რეგიონში. საჭირო იყო საპასუხო პოლიტიკის შემუშავება გავლენისა შესანარჩუნებლად, ვინაიდან მარტო ამ ყველაფერს თან დაერთო ევროკავშირის დაახლოება პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან და მათთან ე.წ. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში მათთან ურთიერთობების ეხალ ეტაპზე გადაყვანა.

პოსტ-საბჭოთა სივრცეში პრო-რუსული რეჟიმების მხარდაჭერა არ იყო საკმარისი რეგიონში რუსეთის გავლენის შესანარჩუნებლად. აშკარა იყო, რომ დასავლეთი უპირატესობას სხვა მეთოდების გამოყენებით ახერზებდა. ეს მეთოდები კი ემყარებოდა უკეთეს წვდომას საზოგადოებრივ აზრზე და რბილი ძალის ისეთი

ინსტრუმენტების გამოყენებას, როგორიცაა მაგალითად არასამთავრობო სექტორი და მასმედია (Cwiek-Karpowicz, 2012).

2007 წელს რუსეთის საგარეო პოლიტიკურ მიმოხილვაში გაჩნდა ჰუმანიტარული მიმართულება, სადაც აღნიშნულია საგარეო პოლიტიკის განხორციელების ისეთი ინსტრუმენტები როგორიცაა: საზღვარგარეთ თანამემამულეების ინტერესების დაცვა, საკონსულო საქმიანობა, თანამშრომლობა კულტურის, მეცნიერების და განათლების სფეროში, მედია საშუალებები (ფხალაძე თ, 2015). კრემლის რბილი ძალის პოლიტიკა სამეზობლოს მიმართ, განსაკუთრებით გამოიხატა თანამემამულეების გარშემო ძალის კონსოლიდირებაში. აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთმა კიდევ უფრო გააძლიერა თანამემამულეთა მიმართ პოლიტიკა. 2008 წლის სექტემბერში მედვედევმა შექმნა "როსოტრუდნიჩესტვო" (ფედერალური სააგენტო თანამემამულეებთან და საერთაშორისო ჰუმანიტარული თანამშრომლობისთვის). ხოლო 2011 წელს დაარსა თანამემამულეთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ფონდი (Sergunin & Karabeshkin, 2015). მოგვიანებით, 2013 წელს როსოტრუდნიჩესტვოს დაევალა საერთაშორისო განვითარების ხელმძღვანელობაც. 2007 წელს პრეზიდენტის ბრძანებით შეიქმნა "რუსკი მირ", რომლის მიზანია რუსული ენისა და კულტურის პოპულარიზაცია. ორი მთავარი ინსტიტუტის "რუსკი მირ"-ის და "როსოტრუდნიჩესტვოს" გარდა, მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციებია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სახელმწიფოსთან და ეხმარებიან მას რბილი ძალის პოლტიკის განხორციელებაში, კერძოდ, გორჩაკოვის ფონდი, ანდრია პირველწოდებულის ფონდი, ქვეყნის ფარგლებს გარეთ დიასპორასთან თანამშრომლობის საერთაშორისო ფონდი - "როსიანე", რუს თანამემამულეთა საერთაშორისო საბჭო და სხვ. (Sergunin & Karabeshkin, 2015).

უშუალოდ ტერმინი "რბილი ძალა" რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში პირველად ჩნდება 2013 წელს. აქ საგულისხმოა რამდენიმე ასპექტი რბილი ძალის განმარტებასა და პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით. რბილი ძალა გაგებულია როგორც საგარეო პოლიტიკის მიზნების მიღწევის ინსტრუმენტი, რომელიც ეყრდნობა სამოქალაქო საზოგადოებას, ინფორმაციულ კომუნიკაციებს, ჰუმანიტარულ თუ სხვა მეთოდებს. ხაზი ესმევა კულტურის, განათლების,

მეცნიერების სფეროში საკუთარი თავის წარმოჩენის მნიშვნელობას. მეორეს მხრივ, როგორც კონცეფციაშია აღიშნული ზოგი რბილ ძალას იყენებს არასწორად, სუვერენულ სახელმწიფოებზე პოლიტიკური გავლენის მოსაპოველად, მათ შიდა საქმეებში ჩარევით, საზოგადოების აზრის მანიპულირებით და სხვადასხვა პროექტების დაფინანსებით. აქ კარგად ჩანს, როგორ აღიქვამს კრემლი დასავლეთის პოლიტიკას. (Winnerstig, M, 2014)

1.2. რუსული რბილი ძალის დისკურსი

რუსული რბილი ძალის რუსულ დისკურსზე გავლენა მოახდინა მისმა ორგვაროვანმა იდენტობამ, კერძოდ დასავლეთის მიმართ "სიყვარული-სიძულვილის" დამოკიდებულებამ. აქ აქცენტი გაქკეთებულია ორ მიმართულებაზე: 1. თანამშრომლური რუსული რბილი ძალა 2. დაპირისპირებული რუსული რბილი ძალა. პირველ შემთხვევაში, რბილი ძალა გაგებულია ისე როგორც ეს დასავლეთშია, აქცენტი კეთდება სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაზე, მიმზიდველობის გაზრდაზე, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების სამაგალითო მოდელის შეთავაზებაზე და ა.შ. ასევე ხაზი ესმევა დასავლური გამოცდილების გაზიარებას. "როსოტრუდნიჩესტვოს" მეთაური კონსტანტინ კოსაჩევი, ხშირად ახსენებს ისეთ სააგენტოებსა და ინსტიტუტებს როგორიცაა გოეთეს ინსტიტუტი, ბრიტანეთის საბჭო, USAID როგორც მოდელს რომლისგანაც რუსეთმა უნდა ისწავლოს (Kiseleva 2014).

მეორე მიმართულება დამყარებულია დასავლეთის კრიტიკაზე - მაგ. წლიური ანგარიშებში ბალტიისპირეთში რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებების დარღვევის ფაქტების აღნიშვნა, რაც მიზნად ისახავს ანტიდასავლური განწყობის გაძლიერებას და საკუთარი პოზიციის გაუმჯობესებას, ვინაიდან ამ თვალსაზრისით თავად ხშირად ექცევა კრიტიკის ქვეშ დასავლეთის მხრიდან. კრემლი აგრეთვე ხშირად აკრიტიკებდა უკრაინის ნატოში გაწევრიანების საკითხს, არა იმიტომ რომ ეს მოსკოვის ინტერესების ეწინააღმდეგებოდა, არამედ იყო არადემოკრატიული, ხაზს უსვამდა რა იმას, რომ უკრაინელთა დიდი ნაწილი არ უჭერდა ამას მხარს (Makarychev, 2011).

რუსეთის რბილი ძალის მიმზიდველობა პოსტ-საბჭოთა სივრცეში ემყარება ქვეყნის დიდ ეკონომიკას და ბაზარს, ისტორიულ და სოციალური კავშირებს. ასევე ხდება საერთო იდენტობის გაძლიერება, ისეთ ასპექტებზე გამახვილებით, როგორიცაა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება, რელიგია, ტრადიციები, კულტურული ღირებულებები (Kudors, 2010). კრემლის რბილი ძალა აქტიურად ემყარება მედიას და ინტერნეტს, რუსული ახალი ამბები, სოციალური ქსელები, ვებ-გვერდები პოპულარულია პოსტ-საბჭთა სივრცეში რუსული ენის ფართო გამოყენების გამო. თუ ნაის რბილი ძალის კონცეფცია უფრო პოზიტიურ დატვირთვას ატარებდა, რუსული გაგებით იგი გახდა საშუალება სახელმწიფოს ხელში რამის ან ვინმეს წინააღმდეგ გამოსაყენებად (Winnerstig, 2014).

1.3. რუსული რბილი ძალის კრიტიკა

რუსეთის გაცხადებულ მიზანს აქტიურად გამოიყენოს რბილი ძალა საკუთარ საგარეო პოლიტიკაში მოჰყვა კრიტიკა, მათ შორის რბილი ძალის თეორეტიკოსის ჟოზეფ ნაის მხრიდანაც. მან თავის სტატიაში What China and Russia don't get about Soft Power (2013) აღნიშნა, რომ ჩინეთმა და რუსეთმა არასწორად გაიგეს რბილი ძალა და შესაბამისად არასწორად ხდება მისი ინტერპრეტაციაც. "ისინი ცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ მთავრობა არის რბილი ძალის მთავარი ინსტრუმენტი." როგორც ნაი შენიშნავს, რბილი ძალა უმეტესად მომდინარეობს სამოქალაქო საზოგადოებიდან-უნივერსიტეტებით დაწყებული ფილმებითა და კულტურით დამთავრებული და არა მთავრობიდან. "საუკეთესო პროპაგანდა არ არის პროპაგანდა".

არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც რუსული რბილი ძალის განხორციელებაში მონაწილეობან არიან ნახევრად სამთავრობო და სამიზნე აუდიტორიის მიერ ასეც აღიქმებიან (Sergunin & Karabeshkin, 2015).

ხშირად რუსეთის რბილი ძალა გაგებულია იმავე კონტექტსში როგორც ხისტი პოლიტიკა. კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთი მას იყენებს იმპერიული კონტროლის დასამყარებლად- "თუ არა ტანკებით, მაშინ ბანკებით". (Tsygankov 2006, 1080). მოსკოვმა ვერ მოახერხა შეეთავაზებინა მეზობელი

ქვეყნებისთვის თანამშრომლობის მიმზიდველი მოდელი (Ćwiek-Karpowicz, 2012). რუსეთის ძმობის ნარატივი არის ორიენტირებული წარსულზე, მას აკლია პოლიტიკური დინამიკა და საერთო მომავლის დამარწმუნებელი გრძელვადიან ხედვა (Makarychev, 2011).

გარდა ამისა, რბილი ძალის ცნება მოიცავს ნორმატიულ ელემენტსაც, რაც ემყარება ქვეყნის შიგნით არსებულ სტანდარტებსა და ნორმებს, რაც გავლენას ახდენს საზღვარგარეთაც. რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოდელი ვერ იქნება მიმზიდველი სხვა ქვეყნებისთვის, გამომდინარე შიდა პრობლემებით, რომელიც მას გააჩნია: კორუფცია, ადამიანი უფლებების დარღვევა და ა.შ (Cwiek-Karpowicz, 2012).

ზოგმა შესაძლოა რუსეთის პოლიტიკა შეაფასოს, როგორც რბილი და ხისტი ძალების ეფექტურად კომბინერების მცდელობა. თუმცა ამ თვალსაზრისით, რამდენიმე შემაფერხებელი ფაქტორი უნდა აღინიშნოს. პირველ რიგში, როგორც ზემოთ ითქვა, რუსეთის ნეოიმპერიალისტური დამოკიდებულება ასუსტებს რბილი ძალის შესაძლებლობას. რუსეთი რბილი ძალის პოლიტიკა ასევე აძლიერებს პოლიტიკურ განსხვავებებს საზოგადოებაში. იმის მაგივრად რომ გული მოიგოს იმ ხალხის, რომლებიც არ იზირებენ მოსკოვის შეხედულებებს და იდეებს, რუსეთი მობილიზებას ახდენს პრო-რუსული ძალების (Cwiek-Karpowicz, 2012., Tafuro, 2014). ეს ნიშნავს რომ გრძელვადიან პესპექტივაში მოსკოვის პოლიტიკა ეფექტური არაა და დიდხანს ვერ გაგრძელდება. გარდა ამისა, რუსი თანამემამულეების დამოკიდებულებაც არაა სწორხაზოვანი. ერთი მხრივ ისინი გამოხატავენ სიმპატიას რუსეთის და მისი მმართველი რეჟიმის მიმართ. თუმცა თუ არჩევანზე მიდგა საქმე ურჩევნიათ იცხოვრონ, განათლება მიიღონ ევროპაში და არა რუსეთში (Tafuro, 2014).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული კრიტიკისა, ეს არ გულისხმობს, რომ რუსეთის რბილი ძალა ამ ეტაპზე სუსტია. შეიძლება მისი იმიჯი საერთაშორისო დონეზე განსაკუთრებით ბოლო პერიოდში უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო ნაკლებად მიმზიდველი გახდა, მაგრამ პოსტ-საბჭოთა სივრცეში მის რბილ ძალას მოქმედების საშუალება კვლავ გააჩნია, რაც ემყარება ანტი-დასავლური სენტიმენტების გაძლიერებას მეზობელ ქვეყნებში და კრემლის მიერ სხვადასხვა

ფაქტორების თავის სასარგებლოდ გამოყენებას, საქართველოს მაგალითზეც ეს კარგად გამოჩნდება.

თავი 2. რუსული რბილი ძალის ინსტრუმენტები საქართველოში

2.1 ეკონომიკა როგორც რუსული რბილი ძალის ინსტრუმენტი

2.1.1. რუსული კომპანიების გავლენა ქართულ ბაზარზე

ეკონომიკური რესურსები რუსული რბილი ძალის ერთ-ერთი უმთავრესი იარაღია. ოფიციალური მოსკოვი ხშირად წარმატებით ახერხებს თავისი ეკონომიკური ბერკეტებით პარტნიორი სახელმწიფოების შანტაჟირებას. ძირითად შემთხვევაში ამას საკუთარი ენერგორესურსების დახმარებით აკეთებს. ენერგორესურსებით მანიპულირებას საქართველოსთან მიმართებაშიც ჰქონდა ადგილი 2006 წელს, როცა რუსეთმა ბუნებრივი აირი პოლიტიკურ იარაღად გამოიყენა, რის შემდეგაც საქართველოს ხელისუფლებამ რუსული გაზი აზერბაიჯანულით სრულად ჩაანაცვლა.

ენერგორესურსებზე რუსეთის ზეგავლენა მხოლოდ საკუთარი რესურსებით არ მოიწურება. საქართველოში არის რიგი კომპანიები, რომლებიც რუსული კომპანიებისა თუ მოქალაქეებზე გასხვისდა და მათი რაოდენობა და სტრატეგიული მნიშვნელობა საკმაოდ დიდია. მათი არასრული ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

1.ენგურჰესი-რუსული კომპანია"რაოესი";

2.ჟინვალჰესი-რუსული კომპანია"რაოესი";

3.რიონჰესი-რუსული კომპანია "ენერჯი ინვესტი";

4.გუმათი1- რუსული კომპანია "ენერგო პრო";

5.გუმათი2-რუსული კომპანია "ენერგო პრო";

6.ლაჯანურჰესი-რუსული კომპანია "ენერგო პრო";

7.შაორჰესი-რუსული კომპანია "ენერგო პრო";

8.ვარციხე1-რუსული კომპანია "ენერგო პრო";

9.ვარციხე2-რუსული კომპანია "ენერგო პრო";

10.ვარციხე3-რუსული კომპანია "ენერგო პრო";

11.ვარციხე4-რუსული კომპანია "ენერგო პრო";

12.ხრამი1-რუსული კომპანია "რაოესი";

13.ხრამი2-რუსული კომპანია "რაოესი";

14.ხრამი3-რუსული კომპანია "რაოესი";

15.ხრამი4-რუსული კმპანია "რაოესი";

16.ხრამი5-რუსული კომპანია "რაოესი";

17.გარდაბნის მე-9 ენერგო ბლოკი-რუსული კომპანია "ინტერ რაო";

18.გარდაბნის მე-10 ენერგო ბლოკი-რუსული კომპანია "ინტერ რაო";

19.მაღალი ძაბვის გადამცემი500 კილოვატიანი ხაზები-რუსული კომპანია "ინტერ რაო"; (IDFI, 2015)

ენერგოკომპანიების გარდა რუსული აქტორების ხელშია ისეთი კომპანიები როგორებიცაა:

- კომპანია "ბილაინი"
- გაერთიანებული ქართული ბანკი"-რუსული კომპანია "ვითიბი;
- ლუკოილ ჯორჯია - რუსული კომპანია "ლუკოილი";
- ზესტაფონის "ფერო"-რუსული კომპანია "პრომიშლენ ინვესტი";
- ელმავალთმშენებელი ქარხანა -რუსული კომპანია "დემა კომპიუტერი";
- არამიანცის, თბილისის N31 საავადმყოფო-რუსული კომპანია "ბატუსი";
- თბილისის წყალი-რუსული კომპანია"ჯორჯიან ვოთერ ენდ პაუერი" (IDFI, 2015).

მაშინ, როდესაც საქართველოში გარკვეულიპრობლემები ექმნებათ ირანისა და ინდოეთის მოქალაქე ბიზნესმენებს, რუსული კომპანიები შეუფერხებლად საქმიანობენ. ზოგიერთ მათგანს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა

სანქციები დაუწესა - მათ შორისაა “ლუკოილი”, “ვითიბი ბანკი” და “როსნეფტი”, რომელიც ოფშორული კომპანიების საშუალებით ფლობს ფოთის ნავთობტერმინალებს და ბენზინგასამართი სადგურების ქსელს (IDFI, 2015).

2.1.2. საქართველოს საექსპორტო მაჩვენებლები რუსეთთან მიმართებაში

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ჩრდილოელ მეზობელთან აქტიური სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა. ქვეყნის საექსპორტო მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ რუსეთზე მოდიოდა და 1990-იანი წლებიდან მოყოლებული მეტნაკლებად მზარდი ტენდენცია შეინიშნებოდა. თუმცა, 2006 წლის გაზაფხულზე რუსეთმა ქართულ პროდუქციაზე ემბარგო დააწესა, რამაც ქართული ეკონომიკა მნიშვნელოვნად დააზარალა. ამის შემდეგ რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისთვის დახურული სივრცე იყო მაჩვენებლებმაც იკლო, თუმცა 2012 წელს ხელისუფლების ცვლილებისა და საქართველოს მხრიდან ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დათბობის მცდელობას საპასუხო რეაქციაც მოჰყვა და საქართველოდან კვლავ დაიწყო პროდუქციის ექსპორტირება რუსულ ბაზარზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2012 წელს რუსეთის საექსპორტო წილი მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 2 %-ს შეადგენდა, (2013 წელს სავაჭრო ურთიერთობების გამოცოცხლების შემდეგ ამ მაჩვენებელმა 6.5 %-ს მიაღწია 2016 წლის იანვარ-აპრილში რუსეთის საექსპორტო წილი 9% იყო. (საქსტატი, 2012, 2013, 2016ა)

2018 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით საქართველოს ყველაზე მაღალი საექსპორტო მაჩვენებელი რუსეთთან აქვს. ამ პერიოდისათვის საექსპორტო ბრუნვა რუსეთთან შეადგენს 98,2 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ეს მაჩვენებელი 2018 წლის პირველ კვარტალში ევროკავშირის ყველა სახელმწიფოსთან საექსპორტო ბრუნვის საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარია (ევროკავშირის სახელმწიფოებთან ჯამური საექსპორტო მაჩვენებელი 209, 4 მილიონი აშშ დოლარია) (საქსტატი, 2018)

ექსპერტი, პროფესიით ეკონომისტი ამირან ძოწენიძე, რომელიც 2012-13 წლებში ქუთაისის ვიცე-მერისა და იმერეთის ვიცე-გუბერნატორის პოსტებს იკავებდა ფიქრობს, რომ „ქართული მოსახლეობის გარკვეული სეგმენტისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის ვინც აგრარულ სექტორში არიან დასაქმებულები, ქართული ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობა რუსული ბაზრის პერპექტივიდან არის დანახული და ევრაზიული კავშირის მხარდაჭრის მთავარი ფაქტორიც უმეტეს შემთხვევაში სწორედ ეკონომიკურია. იმისათვის, რომ ამ ეკონომიკურმა ურთიერთობებმა რუსული „რბილ ძალის“ სამომავლო წარმატებას არ შეუწყონ ხელი საკმაოდ წარსული გამოცდილების გათვალისწინება და ფრთხილი მიდგომაა საჭირო.“ *[ექსპერტი, ამირან ძოწენიძე].*

ეს მზარდი ტენდენცია წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე გარკვეული შიშის საფუძველს იძლევა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული მაჩვენებლები ჯერჯერობით არ არის ისეთი რაოდენობის, რომლითაც რუსეთმა ქართულ ეკონომიკას ძალიან სერიოზული პრობლემები შეუქმნას. საქართველოს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება ახალ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს აძლევს, რაც დიდი ალბათობით მომავალში ხელს შეუშლის რუსეთის გავლენის ზრდას ქართულ ეკონომიკაში.

ა. ძოწენიძე ასევე აღნიშნავს, რომ „საქართველოსთვის რუსეთის ბაზარი საინ-ტერესოა, თუმცა არ არის ერთადერთი და მით უმეტეს საუკეთესო ალტერნატივა. ეს დასტურდება ბაზრის ყველა სეგმენტში. რუსეთი არ არის ლიდერი მსოფლიოში ეკონომიკური მაჩენებლებით, მითუმეტეს არც აგრარული პროდუქციის მოხმარე-ბით როგორც მთლიან მოცულობებში, ისე ერთ მოსახლეზე გადათვლით. გარდა ამისა უნდა შეფასდეს პოლიტიკური რისკებიც. ჩვენ გვახსოვს 2006 წელს დაწყებული პროცესი და ემბარგო, რომელსაც რუსეთი სხვადასხვა სახელმწიფოს მიმართ პოლიტიკურ იარაღად იყენებს. შესაბამისად საქართველო არ უნდა გახდეს ზედმეტად დამოკიდებული რუსულ ბაზარზე, გრძელვადიან პერპექტივაში ეს ძალიან სარისკო ნაბიჯი შეიძლება გახდეს.“ *[ექსპერტი, ამირან ძოწენიძე].*

2.1.3. რუსეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები და მისი დინამიკა

როცა ეკონომიკურ ბერკეტებზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს რუსეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ფაქტორიც. ემიგრანტებისგან უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან გამოგზავნილი თანხები ქართულ ეკონომიკაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. რუსეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ზუსტი რიცხვის დადგენა ძალზედ რთულია, რადგან მათი დიდი ნაწილი იქ არალეგალურად იმყოფება. არაოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოდან ყველაზე მეტი სწორედ რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს. მათი რაოდენობა 800 ათასს აღწევს. აქედან 280 ათასზე მეტმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო (News.ge, 2015) შესაბამისად, ყველაზე მეტი თანხა საქართველოში გზავნილების სახით სწორედ რუსეთიდან შემოდის. მონაცემებით 2013 წელს რუსეთიდან შემოსული გზავნილების მოცულობამ 801, 4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2014 წელს - 709 მლნ აშშ დოლარი. (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2016). 2015 წელს რუსეთში გარკვეული ეკონომიკური პრობლემები შეიქმნა, რის გამოც ფულადი გზავნილების მოცულობა შემცირდა (Tabula.ge, 2015) მოსკოვის მიერ რუსეთში მცხოვრები ემიგრანტების პოლიტიკური მანიპულირების იარაღად გამოყენებაც საკმაოდ ნაცნობი მეთოდია და იგი გამოყენებულ იქნა საქართველოს მიმართაც 2006 წელს, როცა საქართველოს მოქალაქეები მასობრივად იქნენ გამოდეპოტებულები რუსეთის ფედერაციიდან, თანაც საკმაოდ არაჰუმანური მეთოდებით.



3.1. რუსეთის ფედერაციიდან ჩარიცხული და გადარიცხული თანხები, 2008-2015 წლების პირველი კვარტლის მონაცემები

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რუსეთის ფედერაციიდან ფულადი გადმორიცხვები წარმოადგენს საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ ძირითად წყაროს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2014 წლის დეკემბრიდან დაწყებული ეროვნული ვალუტის დევალვაციის პროცესის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზს სწორედ რუსეთის ფედერაციიდან გადმორიცხვის შემცირება შეიძლება წარმოადგენდეს. ასევე, გადმორიცხვების შემცირების პარალელურად 2015 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა გადარიცხული თანხების ოდენობა, რამაც თავის მხრივ გარკვეული გავლენა მოახდინა სავალუტო სტაბილურობაზე (IDFI, 2015).

2017 წლის მაისის მონაცემებით საქართველოში 280.1 მილიონი ლარის ფულადი გზავნილები შემოვიდა. აქედან რუსეთიდან განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა $37,8 მლნ შეადგინა, რაც მთლიანი მოცულობის 33,4%-ია. რაც შეეხება გადარიცხვის სისტემებს, აქაც მოცულობების მიხედვით ლიდერი რუსული გადარიცხვის სისტემა „Золотая Корона“ არის, რომლის მეშვეობითაც ქვეყანაში 28,4 მილიონი ლარი შემოვიდა, რაც საერთო მოცულობის 24,5%-ია (Forbes.ge, 2015).

2018 წლის მაისის მდგომარეობით კი მიმდინარე წლის ფულადი გზავნილების საერთო რაოდენობა რუსეთის ფედერაციიდან 177,4 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ამ მაჩვენებლით რუსეთი კვლავაც მყარად იკავებს პირველ პოზიციას უცხოეთიდან შემოსული გზავნილების მიხედვით (საქსტატი, 2015).

2.2. რუსული რბილი ძალის ზეგავლენა სამოქალაქო საზოგადოებაზე

უკანასკნელ წლებში რუსული „რბილი ძალის“ ერთ-ერთ უმთავრეს იარაღს წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც არასამთავრობო მხოლოდ სახელით არიან სინამდვილეში კი კრემლის პოლიტიკური დღის წესრიგს ატარებენ და დაფინანსებასაც სამთავრობო არხებით იღებენ. ამ მხრივ რუსეთი

აქტიურ საქმიანობას ეწევა საქართველოშიც, სადაც გააქტიურებულია რამდენიმე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული რუსული ფონდი. ეს ფონდები მხარს უჭერენ როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ მოქმედ პრორუსულ არასამთავრობო ორგანიზაციებს (EI-LAT, 2016).

საქართველოს სამოქალაქო სექტორში გააქტიურებული პრო-რუსული ძალების სინთეზს წარმოადგენს „მრავალეროვნულ საქართველოს ანტიფაშისტური კოალიცია“, რომელშიც 60-მდე ორგანიზაცია შედის. ამ კოალიციის წევრები არიან:

- საქართველოს სლავი ხალხების ეროვნული კონგრესი.
- რუსული და რუსულენოვანი თემების კონგრესი.
- ევრაზიის ინსტიტუტი.
- რუსულ-ქართული დიალოგისა და თანამშრომლობის სახალხო მოძრაობა.
- საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერანების კავშირი.
- კავკასიის ვეტერანთა ასოციაცია.
- სამოქალაქო უფლებების დაცვის ასოციაცია.
- სოციალური პროგრამებისა და განვითარების ცენტრი.
- კავშირი “უმუშევარი დასაქმებისათვის” (EI-LAT, 2016).

ზემოთაღნიშნული ორგანიზაციებიდან განსაკუთრებით რამდენიმე აქტიურობს. თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში მომზადებული კვლევის მიხედვით ფუნქციონირებს ორი მთავარი ორგანიზაცია, რომლებთანაც დაკავშირებულია რამდენიმე ქვეორგანიზაცია და მედია საშუალება. ეს ორგანიზაციებია ევრაზიის ინსტიტუტი და ევრაზიული არჩევანი (Damoukidebloba.com, 2015)

ევრაზიის ინსტიტუტი ჯერ კიდევ 2009 წელს დააფუძნა გულბაათ რცხილაძემ, რომელიც ერთ-ერთი პროექტის „სახალხო მოძრაობა ქართულ-რუსული დიალოგისა და თანამშრომლობისათვის“ დირექტორიცაა (შტიობერი ს& პარკოსაძე გ, 2016).

ზემოთაღნიშნული კვლევის მიხედვით, ორგანიზაცია 2012 წლიდან გააქტიურდა. ხშირად აწყობს შეხვედრებს და საზოგადო განხილვებს. 2014 წლიდან ინსტიტუტის წარმომადგენლები ესწრებიან შეხვედრებს რუსეთში დსთ-ის ქვეყნების

ინსტიტუტში, პოლიტიკური კონფლიქტების პროგნოზირებისა და დარეგულირების ინსტიტუტში, რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტში, რომელიც პირდაპირ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციას ექვემდებარება და რუსეთის წამყვან პოლიტოლოგიურ ცენტრს (შტიობერი ს& პარკოსაძე გ, 2016).

„ევრაზიის ინსტიტუტის“ პარტნიორები არიან ქართული გამოცემები “საქართველო და მსოფლიო”, “საქინფორმი”, “ივერიონი”, “ღია ბოქლომი”, „Научное общество кавказоведов“ (НОК) და “ლევ გუმილევის ცენტრი” (Damoukidebloba.com, 2015).

რაც შეეხება ორგანიზაცია „ევრაზიულ არჩევანს“, მას არჩილ ჭყოიძე ხელმძღვანელობს, რომლის დაფუძნებულია„ერეკლე მეორის საზოგადოებაც“, რომელიც ასევე პრო-რუსული რიტორიკით გამოირჩევა. არჩილ ჭყოიძეს ყველაზე ხშირად ციტირებენ რუსული პროპაგანდისტული მედიასაშუალებები. „ევრაზიულ არჩევანს“ აქვს საკუთარი ინტერნეტ ტელევიზიაც „პატრიოტი TV” (Damoukidebloba.com, 2015).

ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების აქტიურობა ორი მიმართულებით ხორციელდება, თუ „ევრაზიული ინსტიტუტი“ ძირითადად ანალიტიკური საქმიანობით, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზებით არის დაკავებული, „ევრაზიული არჩევანი“ უფრო პროაქტიულ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა და სხვადასხვა აქციებსა და დემონსტრაციებს მართავს (Damoukidebloba.com, 2015).

„ევრაზიია ინსტიტუტისა“ და „ევრაზიული არჩევანის“ გარდა აღსანიშნავია კიდევ ერთი ორგანიზაცია - “რუსული და რუსულენოვანი თემებისკონგრესი” (Конгресс русских и русскоязычных общин). მისი პრეზიდენტია ლიკა ზახაროვა, რომელიც პრო-რუსი პერსონებიდან აშკარად გამორჩეული ფიგურაა. ზახაროვა ე.წ. „ანტიფაშისტური კოალიციის“ ყველაზე აქტიური წევრია და ხშირად სწორედ კოალიციის პოზიციასა და მოთხოვნებს საზოგადოებაში ის ახმოვანებს.

რაც შეეხება პრო-რუსულ არასამთავრობო ორგანიზაციების პარტნიორ რუსულ არასამთავრობოებს, მათგან შეიძლება გამოვყოთ „ლევ გუმილოვის ცენტრი“ და „გორჩაკოვის ფონდი“.

- „ლევ გუმილიოვის ცენტრი“ მოსკოვში 2011 წელს დაფუძნდა და ე.წ. “ევრაზიულობის” იდეებს ავითარებს, რომელიც ანტიდასავლურ და ანტილიბერალურ მსოფლმხედველობას ეფუძნება და რუსეთის სახელმწიფო იდეოლოგიაში ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უკავია. გუმილიოვი საბჭოთა პერიოდის ცნობილი რუსი მეცნიერია. მან რუსული გეოპოლიტიკური სკოლის - ევრაზიანიზმის იდეების განვითარებასში დიდი წვილი შეიტანა. „ლევ გუმილიოვის ცენტრი“ „ევრაზიული ინსტიტუტის”, ერთ-ერთი პარტნიორია (EI-LAT, 2016).

ასევე შესამჩნევია „გორჩაკოვის ფონდის“ აქტიურობა საქართველოში, რომლის ძირიტადი ფუნქციაც რბილი ძალის გავრცელებაა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში. იგი 2010 წელს რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვევედევის განკარგულებით ჩამოყალიბდა. მის მრჩეველთა საბჭოში შედიან ცნობილი რუსი ბიზნესმენები და პოლიტიკოსები, მაგალითად: სერგეი ლავროვი, კონსტანტინე კოსაჩევი და ბიზნესმენები ვაგიტ ალეკპეროვი, სულეიმან კერიმოვი, ალექსეი მორდაშოვი და სხვები. გორჩაკოვის ფონდს პოსტ-საბჭოთა სივრცის სხვადასხვა სახელმწიფოში ჰქავს პარტნიორები. საქართველოში მისი მთავარი პარტნიორი არის ისტორიკოს ზაზა აბაშიძის დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ცენტრი“. გორჩაკოვის ფონდი საქართველოში სხვა ორგანიზაციებთანაც თანამშრომლობს. მათ შორისაა არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური სახლიც“ (შტიობერი ს& პარკოსაძე გ, 2016).

საქართველოში პრო-რუსულ ორიენტაციის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობს ფონდი “Русский Мир” (“რუსული სამყარო”), რომელიც 2007 წელს რუსეთის პრეზიდენტის ინიციატივით შეიქმნა რუსული ენისა კულტურის მხარდაჭერა-პოპულარიზების მიზნით როგორც რუსეთში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. ასევე, “როსსოტრუდნიჩესტვო“ („როსთანამშრომლობა“),

რომელსაც კავშირები აქვს „ანტიფაშისტურ კოალიციასთან“ და აფინანსებს მის პროექტს.

რუსული ფონდებისა და მათი პარტნიორი ქართული არასამთავრობოების დაფინანსება გაუმჭვირვალეა. საქართველოში რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა (საქართველოში შვეიცარიის საელჩოში მოქმედებს რუსეთის ფედერაციის ინტერესების სექცია), ასევე, გასცემს ან ადმინისტრირებას უწევს გარკვული გრანტების გაცემას ქართულ ორგანიზაციებზე. ფორმალურ არხებთან ერთად პრორუსული ორგანიზაციები სხვადასხვა გზით იღებენ არაფორმალურ დაფინანსებასაც. არსებობს ალბათობა, რომ ეს რესურსები მოედინება როგორც რუსული სპეცსამსახურების, ასევე რუსული სახელმწიფო ინსტიტუტებისგანაც (EI-LAT, 2016).

„მედიის განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელი, ექსპერტი თამარ კინწურაშვილი სამოქალაქო საზოგადოებაში პრორუსული სუბიექტების შესახებ ამბობს, რომ „პრორუსული ორიენტაციის არასამთავრობო ორგანიზაციები არ წარმოადგენენ ორგანიზაციულად დიდ სუბიექტებს, თუმცა მათი საქმიანობა საერთო ჯამში არის შედეგის მომტანი. ამ ორგანიზაციებს არ ჰყავთ გამოკვეთილი ლიდერი, თუმცა როგორც რუსული რბილი ძალის წყაროები ისინი მოქმედებენ ცენტრალიზებულად ერთიანი დისკურსის ირგვლივ.“ *[ექსპერტი, თამარ კინწურაშვილი].*

რაც შეეხება უკანასკნელ პერიოდში გააქტიურებულ ნაციონალისტურ მოძრაობებს თამარ კინწირაშვილი მათ რუსული რბილის წყაროებად თვლის: „ისინი არიან რუსული რბილი ძალის ინსტრუმენტები, ვინაიდან ის ადამიანები, რომლებიც ლიდერობენ ისეთ ორგანიზაციებს როგორიცაა, „ქართული მარში“ დაკავშირებულნი არიან რუსულ ფონდებთან. მაგალითად, დიმიტრი ლორთქიფანიძე, რომელიც მანამდე ბურჯანაძის პარტიის წევრიც იყო.“ *[ექსპერტი, თამარ კინწურაშვილი].*

ნაციონალისტური მოძრაობების ქმედებები და რიტორიკა ერთობ წინააღმდეგობაში მოდის დასავლურ ღირებულებებთან და ემთხვევა რუსული პროპაგანდისათვის დამახასიათებელ ნარატივთან.

2.3. რუსული გავლენა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში

რუსული გავლენა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების გარდა შეინიშნება პოლიტიკურ პარტიებზეც, თუმცა ღია განაცხადს მათი პრო-რუსული ორიენტაციის შესახემ ისინი არ აკეთებენ. მედიის განვითარების ფონდის მიერ ჩატარებულ 2014-15 წლების მედია მონიტორინგის კვლევაში ანტიდასავლური პოზიციის პარტიებად დასახელებულნი არიან „ბურჯანაძე-გაერთიანებული დემოკრატები“, „პატრიოტთა ალიანსი“ და „თავისუფალი საქართველო“, რომლის ლიდერიც გახლავთ კახა კუკავა. კუკავა არის წევრი ზემოთხსენებული რუსული ორგანიზაციისა „გორჩაკოვის ფონდი“ (EI-LAT, 2016). როგოც კვლევაშია აღნიშნული, ეს პოლიტიკური ძალები რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას ლობირებენ და აპელირებენ ისეთ თემებზე როგორებიცა: გარე (დასავლური) ძალების მიერ საქართველოს არაპირდაპირი მართვა, ჰომოსექსუალობის, ინცესტის ლეგალიზების საკითხი, ასოცირების ხელშეკრულების პირობების კაბალურობა და მათი არამომგებიანობა საქართველოსათვის, რეგიონული ენების ქარტიის წარმოჩენა ქვეყნის საფრთხედ, მართლმადიდებლობასთან მებრძოლი დასავლეთის ხატის შექმნა და ა.შ. (კინწურაშვილი თ, 2015). ანტიდასავლური და ქსენოფობიური რიტორიკით განსაკუთრებით გამოირჩევა „პატრიოთა ალიანსი“. მისი ერთ-ერთი ლიდერია ირმა ინაშვილი. იგი დამფუძნებელია მედიაკავშირი „ობიექტივისა“ რომელიც ანტიდასავლური მედიასაშუალებების სიაში ფიგურირებს.

გარდა ამ პარტიების ლიდერების ღიად დაფიქსირებული პოზიციებისა ასევე უნდა აღვნიშნოთ მათი ვიზიტები მოსკოვში, რაც კიდევ ერთი დასტურია მათი პოლიტიკური სიმპათიებისა რუსეთის მიმართ. მაგალითად, ნინო ბურჯანაძე მოსკოვში რამდენიმეჯერ იმყოფებოდა. უკანასკნელად იგი მოსკოვში 2016 წლის 19

თებერვალს იმყოფებოდა და შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინს. ეს 7 თვის მანძილზე ბურჯანაძის მესამე ვიზიტი იყო რუსეთში (Civil.ge, 2016). 2015 წლის ოქტომბერში მოკოვში ჩასული იყო პარტია „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბარათურიაც რომელმაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავებასა და სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებაზეც კი ისაუბრა (Timer.ge, 2015). უფრო ადრე, 2012 წლის ნომებერში რუსეთში ვიზიტი ჰქონდა „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერსა და „გორჩაკოვის ფონდის“ წევრ პოლიტიკოსს კახა კუკავასაც. იგი მოსკოვში შეხვდა „რუსი და ქართველი ერების ერთიანობის ფონდის“ პრეზიდენტ ვლადიმერ ხომერიკს, რომელმაც ორგანიზება გაუწია კუკავას შეხვედრებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებთან (Interpressnews, 2012).

ასევე საინტერესოა მმართველი პოლიტიკური ძალის საკითხიც, რომელსაც ოპოზიციური პარტიები ხშირად პრო-რუსულ ორიენტაციაში ადანაშაულებენ. ხშირად კი ამის არგუმენტად „ქართული ოცნების“ დამაარსებლის ბიძინა ივანიშვილის მიერ კაპიტალის რუსეთში დაგროვება და მისი კავშირები მოჰყავთ.

„ქართული ოცნება“ თავისი იდეოლოგიური მრავალფეროვნებით ყოველთვის გამოირჩეოდა, შესაბამისად მისი სხვადასხვა წევრის მიერ ნებსით თუ უნებლიედ დაფიქსირებული პოზიციები ხშირად იწვევდა დაბნეულობას ქართულ საზოგადოებაში და ასევე უცხოელ პარტნიორებშიც.

ხელისუფლებაში მოსვლისას კოალიციაში წარმოდგენილი იყო პარტიები: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები“ „რესპუბლიკური პარტია“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ „კონსერვატორული პარტია“, „ეროვნული ფორუმი“ (არიან სხვა პარტიებიც თუმცა მათი წარმომადგენლობა პარლამენტსა თუ სხვა საჯარო ორგანიზაციებში უმნიშვნელოა). აქედან ორი პარტიის - რესპუბლიკელებისა და თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენლები ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ დასავლური ორიანტაციით. თუმცა ეს ერთობა არც ისე დიდხანს გაგრძელდა. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა და სამთავრობო კოალიციის ყოფილმა წევრმა

ირაკლი ალასანიამ მასსა და სამთავრობო გუნდს შორის 2014 წლის ნოემბერში დაწყებული კონფლიქტის მიზეზად სწორედ საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი დაასახელა და განაცხადა, რომ ხელისუფლების გარკვეულ წრეებს იერიში მიჰქონდათ ევროატლანტიკურ არჩევანზე. (Civil.ge, 2016) სახელისუფლებო გუნდში საინტერესო ფენომენს წარმოადგენს პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და მისი ლიდერი გოგი თოფაძეც, რომელიც გამოირჩევა პრო-რუსული განცხადებებით და მის პოზიციას ძირითადად, ეკონომიკურ ფაქტორებს და რუსული ბაზრის საქართველოსთვის მომგებიანობით ასაბუთებს (EI-LAT, 2016).

საბოლოოდ, მიუხედავად ცალკეული წევრების განსხვავებული პოზიციისა კოალიცია „ქართული ოცნებას“ გამომდინარე მისი ნაბიჯებიდან ევროინტერაციის პროცესში (მაგ: ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება, ვიზალიბერალიზაციის საკითხში წინგადადგმული ნაბიჯები) პრორუსულობაში ნამდვილად ვერ დავადანაშაულებთ.

რაც შეეხება ხსენებულ პრო-რუსულ პარტიების მიმართ საზოგადოების განწყობებს, 2016 წლის მარტის NDI-ს საზოგადოებრივი აზრის კვლევებმა აჩვენა, რომ მათგან ყველაზე პოპულარული „პატრიოტთა ალიანსი“ იყო, რომელსაც ამომრჩეველთა 5% უჭერდა მხარს (მეორე არჩევნად 3%). ბურჯანაძისა და კუკავას პარტიებს კი 3%-ზე მეტი მხარდაჭერა ჰქონდათ. (NDI, 2016)

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „პატრიოტთა ალიანსმა“ შეძლო ზღვარის გადალახვა და დღესდღეობით ეს პარტია პარლამენტში არის წარმოდგენილი. 2017 წლის დეკემბრის კვლევის შედეგებით კი „პატრიოტთა ალიანსს“ 3%-იანი რეიტინგი აქვს, ხოლო სხვა პრორუსული აქტორების რეიტინგი 1%-ე დაბალია (NDI, 2017).

ექსპერტი ამირან ძოწენიძე სკეპტიკურად აფასებს პრორუსული პოლიტიკური პარტიების პერსპექტივებს და ფიქრობს, რომ „ამ პოლიტიკურ ძალებს არ აქვთ შანსი მოიპოვონ ელექტორატის ფართო მხარდაჭერა. მათი ფუნქცია არის მხოლოდდამხოლოდ საზოგადოებაში გარკვეული თემების წამოწევა და

აუდიტორიისათვის რუსეთისთვის ხელსაყრელი გზავნილების მიწოდება, რასაც აკეთებენ კიდეც. მე ვერ ვხედავ ამ პარტიებში იმის პოტენციალს, რომ მოიპოვონ ამომრჩეველთა დიდი მხარდაჭერა და მიიღონ იმხელა ლეგიტიმაცია, რაც სერიოზული პოლიტიკური ძვრებისათვის იქნება საჭირო.“ *[ექსპერტი, ამირან ძოწენიძე].*

2.4. რუსული რბილი ძალის ზეგავლენა მედიასაშუალებებზე

რუსეთმა მედიის მასობრივი კონტროლისა და ექპლუატაციისთვის მნიშვნელოვანი ზომები მიიღო - 2005 წელს შეიქმნა ახალი არხი “Russia Today”, რომელიც სხვადასხვა ენებზე მაუწყებლობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და ძირითადად, საერთაშორისო არენაზე რუსული პოზიციების წარმოჩენას და მისი იმიჯის გაუმჯობესებას ემსახურება. 2014 წელს რუსეთის მთავრობამ კიდევ ერთი ახალი საერთაშორისო მედიაბრენდი, საინფორმაციო სააგენტო „სპუტნიკი” აამუშავა, რომლის 2015 წლის ბიუჯეტიც 140 მილიონ დოლარს შეადგენს. „სპუტნიკის” ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული საბოლოო მონაცემების მიხედვით, ის ქმნის საკუთარ მულტიმედიურ შინაარსს და მაუწყებლობს 30 ენაზე. ამ კომპანიამ საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო, “სპუტნიკმა”, თუმცა ეთერში მაუწყებლობა მალევე შეწყდა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, ვინაიდან მას არ გააჩნდა ლინცენზია. “სპუტნიკმა“ საქმიანობა ინტერნეტის საშუალებით ვებგვერდზე - sputnik-georgia.com გააგრძელა, სადაც სტატიებთან ერთად გადაიცემა რადიო მაუწყებლობაც (კინწურაშვილი თ, 2015).

მედიასაშუალებებზე გავლენის ზრდის მორიგ ნაბიჯი გადაიდგა, როცა რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ორგანომ 2014 წელს დაამტკიცა კანონი, რომელიც რუსეთში მოქმედ მედიასაშუალებებში უცხოელი მფლობელების წილის ლიმიტად 20%-ს დააწესა. უცხოელების გარდაეს შეზღუდვა ორმაგი მოქალაქეობის მქონე რუსებსაც შეეხებოდათ. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით უცხოურ ტელეარხებს რუსეთში მაუწყებლობისთვის ადგილობრივი ლიცენზია მოეთხოვებათ (EI-LAT, 2016).

ამ კანონის მიღების შემდეგ რუსეთში მაუწყებლობას ვეღარ ახერხებენ ისეთი არხები, როგორებიცაა ბრიტანული BBC, “ამერიკის ხმა”, გერმანული “დოიჩე ველე” და სხვა. თავიდან მათ მდგომარეობაში იყო CNN-იც, თუმცა შემდეგ კვლავ მოახერხა რუსეთში მაუწყებლობის უფლების მიღება, თუმცა მაუწყებლობა სხვებს აღარ აღუდგენიათ (კინწურაშვილი თ, 2015).

დღეისათვის საქართველოში რუსული არხები ხელმისაწვდომია საკაბელო ტელევიზიით, სატელიტური ანტენით ან ინტერნეტით. საქართველოში რუსული ტელეარხების მაუწყებლობას და მათი საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას საკმაოდ ცუდი შედეგები შეიძლება მოჰყვეს გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო. პოლიტიკური ოპონირებიდან გამომდინარე რუსეთსა საქართველოს შორის არსებობს საინფორმაციო ომი, ზემოთაღნიშნული მეთოდების გამოყენებით კი რუსული მედია სერიოზულ ზეგავლენას ახდენს მის მაყურებელზე საქართველოში.

ქართული მოსახლეობა საერთაშორისო ამბებს ძირითადად ქართული ტელეარხებიდან იღებს. ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების თანახმად, რომელიც 2015 წლის თებერვალში ჩატარდა, საქართველოში საერთაშორისო ამბების ინფორმაციის წყარო გამოკითხულთა 97 %-სთვის ქართული არხებია, რუსული ტელეარხების წილი კი 9%-ს შეადგენს. აქედან გამომდინარე, საქართველოში რუსეთის რბილი ძალის მედია წყარო არაპირდაპირია და ხშირ შემთხვევაში მისი განხორციელება ხდება ადგილობრივი მედია საშუალებების ანტიდასავლური პროპაგანდის გზით.

ანტიდასავლური პროპაგანდის თაობაზე 2014-15 წლის მედია მონიტორინგის ანგარიშშია აღნიშნულია, რომ მედია პროპაგანდა საქართველოში დამყარებულია რამდენიმე სახის გზავნილზე, რომელიც მოიცავს ღირებულებებსა და ადამიანის უფლებებს, პოლიტიკური პროცესების ინტერპრეტაცია ანტიდასავლურ ჭრილში და არასამთავრობო სექტორის ზოგიერთი აქტორის წარმოჩენა ანტიეროვნულ ძალად, რომელიც ქვეყანაში დასავლეთის ინტერესებს ატარებს (კინწურაშვილი თ, 2015).

ქართული ტელეარხებიდან ანტიდასავლური და ქსენოფობიურიგანწყობით გამოირჩევა მედიაკავშირი “ობიექტივი”, რომელიც ახორციელებს როგორც ტელე, ისე რადიო მაუწყებობას. მსაგვის ტენდენციები დაფიქსირებულია“ტელეარხ 25”-ის ეთერშიც.

რუსული მედიასაშუალებების ქართულ რეალობაში არსებობა განსაკუთრებით აქტუალურია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც დგას სახელმწიფო ენის არცოდნის პრობლემა, რის გამოც მოსახლეობის საკმაოდ დიდი სეგმენტი რუსულ არხებზე აკეთებს არჩევანს. 2015 წლის აპრილში NDI-მ ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომლის ერთ-ერთი კვლევის საგანი ეს საკითხიც იყო. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობის 53% ინფრომაციას ძირითადად უცხოური საინფორმაციო საშუალებებიდან იღებს. ყველაზე პოპულარული არხები კი რა თქმა უნდა, რუსულენოვანი ტელეარხებია, რომლებიც კრემლის პოზიციებისა და იდეოლოგიის მთავარი გამხმოვანებლები არიან. მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია მაყურებლის რა სეგმენტი არის ფოკუსირებული რუსულ ტელეარხებზე NDI-ს მიერ გამოკითხული იმ 53%-დან, რომელიც მოვლენებს უცხოური მედიის საშუალებით ადევნებს თვალს. ამ შედეგების მიხედვით კი მდგომარეობა სახარბიელო ნამდვილად არ არის.

NDI-ს კვლევის შედეგები

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რომელიმე ქვეყნის, მათ შორის რუსეთის, რომელიმე კონკრეტული არხის აკრძალვის შესაძლებლობას. ის, თუ რომელი არხების პაკეტს შესთავაზებენ საკუთარ მომხმარებელს საკაბელო კომპანიები თავად წყვეტენ. საქართველოში ტელეკომუნიკაციის სფეროს კონტროლს ახორციელებს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომლის უფლებამოსილება შემოიფარგლება იმით, რომ ზედამხედველობა გაუწიონ საკაბელო ოპერატორის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული არხების მაუწყებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულებებისა და ნებართვების არსებობას. შესაბამისად, ამ სფეროში ქმედითუნარიანი ორგანოს არ არსებობა და სუსტი რეგულაციები პროპაგანდის გავრცელების ნოყიერ ნიადაგს ქმნის (EI-LAT, 2016).

საქართველოში რუსული არხების მაუწყებლობასთან დაკავშირებით ექსპერტი თამარ კინწურაშვილი შემდეგ პოზიციას აფიქსირებს:

„რუსული არხების აკრძალვა დიდად შედეგიანი არ იქნება, ვინაიდან ციფრული ტექნოლოგიის ეპოქაში ჩვენ თუ რამეს ავკრძალავთ, ამით მეტად მოვახდენთ მათ აქტუალიზაციას და მეტად გავხდით მათ მნიშვნელოვანს. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის რომ ქართული მედიაა მთავარი წყარო, რადიკალური, ტაბლოიდური მედია. ხელისუფლება ხელს არ უნდა უწყობდეს ასეთი მედიის ლეგიტიმაციას. არ უნდა ხდებოდეს იმ ადამიანების ლეგიტიმაცია და დაფინანსება, ვინც წითელ ხაზს ლახავენ. ერთ-ერთი კვლევისას ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ზოგიერთ მედიასაშუალებას, რომელიც გამორჩევა ანტიდასავლური რიტორიკით სახელმწიფო წყაროებიდან აქვს დაფინანსება. მაგალითად, ტელევიზია „ობიექტივს“ გაფორმებული აქვს კონტრაქტები რამდენიმე სამინისტროსთან.“ *[ექსპერტი, თამარ კინწურაშვილი].*

რაც შეეხება ბეჭდურ მედიას, საგაზეთო ქსელ „ელვა“-ს მონაცემებით დღესდღეობთ დაახლოებით 500-მდე დასახელების რუსულენოვანი პერიოდული გამოცემის იმპორტირება. მათგან დაახლოებით 65-70% არის სპეციფიკური თემატიკის გამოცემები, რომლებიც ეხება მედიცინის, ეკონომიკის, განათლების დაახვა საკითხებს, დარჩენილი 30-35% არის ე.წ. პოპულარული გამოცემები პოლიტიკური პრესა კი თითქმის არ იყიდება (EI-LAT, 2016).

სამაგიეროდ რუსული პროპაგანდის საკმაოდ მძლავრი ელემენტები გვხვდება ქართულ პრესასა და ინტერნეტ გამოცემებში. მაგალითად გაზეთები _ „ასავალ - დასავალი“, „კვირის ქრონიკა“ და „ალია“ ინტერნეტჟურნალები _ „საქართველო და მსოფლიო“ „საქინფორმი“ და საინფორმაციო სააგენტო ივერიონი. ზემოთაღნიშნული ონლაინ მედია საშუალებები აქტიურად თანამშრომლობენ პრო-რუსულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ფონდმა „რუსულმა სამყარომ“ და შპს „როსტელეკომმა“, რომლის მფლობელობაშიც იმყოფება კომპანია „სპუტნიკი“, ქართული ონლაინ და ელექტრონული მედიის გასაძლიერებლად 2015 წლის თებერვლიდან მაისამდე 5 მილიონი აშშ დოლარი გადმორიცხეს. ორივე ორგანიზაცია რუსეთის დედაქალაქშია დარეგისტრირებული და ძირითადად, პოსტსაბჭოთა სივრცეში საქმიანობენ. აღსანიშნავია, რომ არცერთი ორგანიზაცია ღიად არ აცხადებს, რომ საქართველოში რაიმე აქტივობებს ახორციელებენ.

2.5. მართლმადიდებლობა, როგორც რუსული რბილი ძალის ინსტრუმენტი

რელიგიური წარმოდგენები და კულტურული მეხსიერება რუსეთის რბილი ძალის არსენალში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია, რომელიც საზოგადოების განწყობაზე დიდ ზეგავლენას ახდენს, ვინაიდან მართლმადიდებლური ქრისტიანული ღირებულებები მნიშვნელოვანია მოსახლეობის საგრძნობი ნაწილისთვის და რელიგიური წრეებიდან წამოსულ გზავნილებს დიდი გავლენა აქვს საქართველოს მოსახლეობაზე. კრემლი იყენებს ქართული საზოგადოების ამ თავისებურებას და დასავლეთს წარმოაჩენს, როგორც მანკიერი „ლიბერალური“ იდეოლოგიის მქადაგებელს, რასაც უპირისპირდება კონსერვატორული რუსეთი რომელიც იცავს ტრადიციულ ღირებულებებს.

ქართულ მართლმადიდებლური ეკლესია არის ინსტიტუტი, რომელიც მაღალი ნდობით სარგებლობს საზოგადოებაში. როგორც NDI-ის 2017 წლის დეკემბრის გამოკითხვებმა აჩვენა მოწონების ყველაზე მაღალი რეიტინგი პატრიარქ ილია მეორეს აქვს (NDI, 2017). ქართული ეკლესია ხშირად ერევა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში. 2012 წელს ეკლესიამ საპარლამენტო კამპანიაში ღიად დაუჭირა მხარი ქართულ ოცნებას და მის ლიდერს ბიძინა ივანიშვლის (Chitanava, 2015).

ამრიგად, რუსეთი საკუთარი რბილი ძალის გამოყენებისათვის აქცენტს აკეთებს ეკლესიაზეც, რომელიც ქართულ საზოგადოებაში არის ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუტი. გარკვეული ჯგუფების მიერ ფართო მასებისადმი ხდება გზავნილების მიწოდება, რომ დასავლეთისკენ სწრაფვა რელიგიურ ჭრილში გამართლებული არ არის, რადგან დასავლეთი ებრძვის მართლმადიდებლურ სარწმუნოებას. მსგავსი განცხადებები სიძულვილის ენით არის გაჟღენთილი და შეიცავს ჰომოფობიურ ელემენტებს. ამ მითების გავრცელებაში საკმაოდ აქტიურად იღებენ მონაწილეობას საქართველოს ეკლესიის კონსერვატიული ფრთის წარმომადგენლებიც. უცნობია ის, თუ ეკლესიის რა ნაწილს შეადგენენ მსგავსად მოაზროვნე პირები, თუმცა ეკლესიისა და საეკლესიო პირებისადმი არსებული ნდობის მაღალი ფაქტორიდან თითოეულის მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ მათი მრევლისადმი საზოგადოების განწყობებზე შესაძლოა დიდი გავლენა იქონიოს (EI-LAT, 2016). მათი მოსაზრებების დიდ ზეგავლენას ადასტურებს NDI-ს კვლევის შედეგებიც, მაგალითად 2015 წლის ნოებბრის კვლევაში გამოკითხულთა 45% არჩევნებზე სასულიერო პირების აზრის გათვალისწინებაზეა თანახმა იყო (NDI, 2015). შესაბამისად ცხადი ხდება რომ ეკლესიის კომპეტენცია სცდება სასულიერო სფეროს და პოლიტიკურ პროცესებშიც მკვეთრ ასახვას ჰპოვებს.

მიუხედავად ზემოთაღნიშნული ტენდენციისა აღსანიშნავია ისიც, რომ საპატრიარქოს ოფიციალური პოზიციით იგი მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის გაცხადებულ საგარეო პოლიტიკურ კურს, რომელიც დავალეთთან ინტეგრაციას გულისხმობს.

ტრადიციულ ღირებულებების მხარდაჭერით ეკლესია გარკვეულწილად აბრკოლებს რეფორმებს და ცლილებებს. ეს კარგად გამოვლინდა მაგალითად 2014 წელს ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისას, რომელიც გათვალისწინებული იყო სავიზო ლიბერალიზაციის გეგმით. 2014 წლის 30 აპრილს ამის საპასუხოდ სამღვდელოების ინიციატივით მოეწყო საპროტესტო გამოსვლები თბილისსა და ქუთაისში (Kapanadze 2015). 2014 წლის 6 მაისს გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებულ ლიტურგიაზე პატრიარქმა ილია მეორემ გააკრტიკა აღნიშნული კანონი: "არც ერთი მორწმუნე ადამიანი არ მიიღებს ამას, ასეთ კანონს. ... გავა დრო, როცა ჩვენ თვითონ გაგვიკვირდება, თუ როგორ იყო მიღებული ეს კანონი.." (Civil.ge, 2014). ქართული ეკლესიის ამგვარი განცხადებები მოდის რუსეთთან ინტერესებში, რომელიც ევროპის გაკრიტიკებით ასევე წარმოაჩენს თავს ქრისტიანული ღირებულებების დამცველად.

ექსპერტი თამარ კინწურაშვილის მოსაზრებით: „ეკლესიის მესვეურების განცხადებები ხშირად შეიცავს სიძულვილის ენასა და ანტიდასავლურ გზავნილებს. მათ ბოლო პერიოდში ხშირად აქვთ ვიზიტები დასავლურ სახელმწიფოებში, რაც თავისთავად კარგია. ამ ვიზიტებისას მათი რიტორიკა განსხვავებულია, თუმცა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ეკლესიაში, მრევლის წინაშე ისინი ისევ აგრძელებენ ქადაგებას დასავლური სამყაროს საწინააღმდეგოდ."

იმაზე, რომ რუსეთი ცდილობს გამოიყენოს რბილი ძალის ეს რესურსი მეტყველებს კათოლიკოს პატრიარქის შეხვედრაც პუტინთან მოსკოვში 2013 წლის იანვარში. ამ ვიზიტის დროს ილია მეორემ აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ყველაფერს გააკეთებს, იმისთვის რომ ძმებად დარჩნენ და რომ ომი არ იყო არც რუსეთის და არც საქართველოს ბრალი, არამედ "ცალკეული პიროვნებების". (Chitanava, 2015).

საქართველოს და რუსეთის სიყვარულზე, ძმობაზე ყურადღების გამახვილება პერიოდულად ხდება ქართული ეკლესიის მხრიდან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცალსახად პრო-რუსულად ან მისი ინტერესების განმახორციელებლად ვერ მივიჩნევთ. მაგალითად ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების მიმართ ეკლესიის ნეგატიური დამოკიდებულება არის უფრო კონსერვატორული იდეის დაცვა და არა

პრო-რუსული პოლიტიკის გატარება, თუმცა ამგვარი პოზიცია კრემლის ინტერესებსაც ემსახურებოდა (Payne, 2015).

სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების დამსახურებით, რომლის ფარგლებშიც იმართება ქართველი სასულიერო პირების შეხვედრები ევროკავშირის, ისევე როგორც ნატოს ხელმძვანელობასთან, სასულიერო პირების მხრიდან უარყოფითი გზავნილების რაოდენობა დასავლური ინსტიტუტების მიმართ საგრძნობლად შემცირდა. თუმცა, რიგ შემთხვევებში გარკვეულ სასულიერო წრეებში ანტი-დასავლური ტენდენციები მაინც ვლინდება (უკანასკნელ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ რომის პაპის ვიზიტის წინააღმდეგ გამართული პროტესტი). შესაბამისად, რუსეთის კულტურული ნარატივი კვლავ მძლავრია საქართველოში და მნიშვნელოვან ფაქტორს თამაშობს კრემლის პროპაგანდის სტრატეგიაში.

თავი 3. პროდასავლური განწყობების დინამიკა საქართველოში 2012 წლიდან დღემდე

პრო-რუსული განწყობა საზოგადოების გარკვეულ სეგმენტში ყოველთვის არსებობდა, რაც გასაკვირი არ არის რუსეთის ხელში არსებული უდიდესი რესურსების და სხვადასხვა კულტურული თუ ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით. თუმცა საინტერესოა, რატომ რჩება იგი მიმზიდველი მაშინ, როდესაც საქართველომ ევროკავშირთან დაახლოვების უფრო რეალური სარგებელი

დაინახა. იმისათვის რომ დღესდღეობით საზოგადოებაში არსებულ ტენდენციებზე უკეთესი წარმოდგენა შეგვექმნას, საჭიროა პრო-რუსული კურსის მხარდაჭერის დინამიკის გაზომვა, რაც ძირითადად შესაძლებელია ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების თაობაზე დამოკიდებულების შესწავლით.

საქართველოში 2013 წელთან შედარებით შემცირებულია პრო-ევროპული კურსის მხარდაჭერა, რაც თავის მხრივ პრო-რუსული განწყობის გაზრდაშიც გამოიხატა. მართალია, 2013-15 წლებში სხვადასხვა ინსტიტუტების და ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგებში წარმოდგენილი პროცენტული

მაჩვენებლები ერთმანეთის ზუსტი არაა, რაც დამოკიდებულია გამოკითხვის ჩატარების კონკრეტულ პერიოდზე, შერჩევაზე, მეთოდოლოგიაზე, აღნიშნული კვლევები საზოგადოების პოზიციის ცვლილების ზოგად სურათს მაინც იძლევა.



როგორც 2015 წლის დეკემბერში ევროკავშირის მიმართ საქართველოში საზოგადოების დამოკიდებულების თაობაზე ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში გამოჩნდა:

- 2013 წლის შემდეგ 78%-დან 62%-მდე შემცირდა ევროინტეგრაციის მხარდაჭერა საქართველოს მოსახლეობის მხრიდან.
- 2013 წლიდან განსაკუთრებით გაიზარდა ქართულენოვანი მოსახლეობის წილი, რომელიც თვლის, რომ ევროკავშირი ქართულ ტრადიციებს საფრთხეს უქმნის (2013 წელს ეს მაჩვენებელი 31%, იყო, ხოლო 2015-ში - 46%).
- 2015 წლის გამოკითხვით ევროკავშირის მხარდაჭერის მიზეზად ყველაზე ხშირად საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სახელდება (44%).

NDI-ის 2013 წლის ნოემბრის კვლევის მიხედვით გამოკითხულთა 85% საქართველოს მთავრობის გაცხადებულ მიზანს გახდეს ევროკავშირის წევრი დადებითად აფასებდა. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია წინა და შემდგომ წლებთან შედარებით (NDI, 2013) ამის მიზეზი სავარაუდოდ, სწორედ ამ პერიოდში ევროკავშირთან

ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებაა, რამაც განაპირობა პრო-ევროპული კურსის მაღალი მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან.

რაც შეეხება ევროკავშირს და ევრაზიის კავშირს შორის არჩევანს, 2013 წლის მონაცემებით პირველს 68% ემხრობოდა, ხოლო მეორეს -11% (NDI, 2013). 2014 წლის განმავლობაში მაღალი რჩება ქვეყნის პრო-ევროპული კურსის მხარდაჭერა (77-78%), თუმცა თანდათან იზრდება ევროკავშირის ნაცვლად ევრაზიის კავშირის მომხრეთა პროცენტული წილი (2014 წლის აპრილში -16%, აგვისტოში -20%) (NDI Georgia, 2014). NDI-ის 2015 წლის აპრილის და აგვისტოს კვლევების მიხედვით, საქართველოს ევრაზიის კავშირში გაწევრიანების მხარდამჭერთა რაოდენობა 31% გახდა. ამხელა ზრდა გარკვეულწილად განაპირობა გამოკითხვებში ეთნიკური უმცირესობების ჩართვამაც, რაც წინა წლებში არ ხორციელდებოდა.

2013 წლიდან პრო-რუსული განწყობის გაძლიერება მარტო ევრაზიული კავშირის მომხრეთა რაოდენობის ზრდაში არ გამოვლენილა. როგორც აგვისტოს კვლევები აჩვენებს 2014 წელთან შედარებით გაიზარდა მათი რაოდენობა, ვინც თვლის, რომ საქართველო უფრო მეტ სარგებელს მიიღებს თუ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობის სანაცვლოდ უარს იტყვის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე (NDI Georgia, 2015ა).



წყარო: NDI Georgia (2015ა) საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2015 წლის აგვისტოს კვლევის შედეგები.

2015 წლის ნოემბერში ამავე ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევაში კითხვაზე „მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი გახდეს ნატოს წევრი“ გამოკითხულთა 69%-მა დადებითი პასუხი გასცა, ხოლო 21%-ისთვის ეს მიუღებელია. 2016 წლის მარტში ჩატარებულ კვლევაში ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხის მაჩვენებელი გაუმჯობესდა და 77%-ს მიაღწია (NDI, 2015,2016)

2016 წლის მარტში NDI-მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის 20% მხარს უჭერდა საქართველოს გაწევრიანებას ევრაზიულ კავშირში, რომელიც რუსეთის, ბელორუსისა და ყაზახეთის მიერაა დაფუძნებული. კავშირის მთავარი აქტორი არის რუსეთი, რომლისთვისაც ეს ერთობა პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის გაზრდის ბერკეტს წარმოადგენს. ევროკავშირში გაწევრიანებას კი მოსახლეობის 61% უჭერდა მხარს (NDI, 2016)



წყარო: NDI Georgia (2018) საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2018 წლის მარტის კვლევის შედეგები.

ეს მაჩვენებლები დიდად არ შეცვლილა 2018 წლის მარტის კვლევის მიხედვით. ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს გმოკითხულთა 65% უჭერს, ხოლო ევრაზიულ კავშირში გწევრიანებას 21%.

რაც შეეხება 2018 წლის მარტში ჩატარებული მონაცემებს, ნატოში გაწევრიანებას მხარს 65% უჭერს, 20% მოწინააღმდეგეა, ხოლო 15%-ს არ გააჩნია ჩამოყალიბებული პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2018 წლის მარტის კვლევაში საბჭოთა კავშირის დაშლას დადებითად რესპოდენტთა 43% აფასებს, მაშინ როცა 2017 წლის აპრილში საბჭოთა კავშირის დაშლაზე პოზიტიური განწყობა გამოკითხულთა 48%-ს გააჩნდა. რაც შეეხება იმ რესპოდენტებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ სსრკ-ს დაშლა საქართველოსთვის უარყოფითი მოვლენა იყო 2018 წლის მარტის კვლევაში მათმა რაოდენობამ 42% შეადგინა. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების პოზიცია საკმაოდ არაერთგვაროვანია (NDI, 2017,2018)



ნატოში გაწევრიანების მომხრეთა დინამიკა 2012-18 წლებში

წყარო: NDI Georgia (2018) საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2018 წლის მარტის კვლევის შედეგები.

როგორც ვხედავთ, მიხედავად პრო-ევროპული კურსის მხარდამჭერთა დომინანტური პოზიციისა მოსახლეობის დამოკიდებულება ქვეყნის საგარეო კურსთან მიმართებაში მაინც საკმაოდ არასტაბილური და არათანმიმდევრულია. ასეთ დროს კი „რბილი ძალის“ ეფექტურად გამოყენებას ამ განწყობების ცვლილებაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

თავი 4. რუსული პროპაგანდის ძირითადი მახასიათებლები

4.1. რუსული პროპაგანდის ტაქტიკური მიმართულებები

რუსული პროპაგანდა ძირითადად, რამდენიმე ტექნიკურ მიმართულებას ეყრდნობა: (Damoukidebloba.com 2015)

- **კრიტიკის უარყოფა** - რუსული პროპაგანდა უგულებელყოფს რუსეთის ქმედებების ყველანაირ კრიტიკას და წარმოაჩენს მას, როგორც დასავლეთის მიერ ორმაგი სტანდარტებიდან გამომდინარე შეთხზულ სიცრუეს;

- **ფაქტების დამახინჯება** - რაც გულისხმობს სხვადასხვა საინფორმაციო მაქინაციითა თუ პროპაგანდისტული მექანიზმით რეალური ფაქტების რუსეთისთვის სახარბიელო კუთხით გაშუქებას.

- **მთავარი საკითხიდან ყურადღების გადატანა** - კრემლის დღის წესრიგში არსებულმა მოვლენების მაყურებლის ყურადღების ცენტრში მოქცევა.

- **მაყურებლის დაბნევა** - რუსეთის პროპაგანდის მთავარი ტაქტიკური გათვლაა არა ტყუილის სიმართლედ წარმოჩენა, არამედ ფაქტების დამახინჯებით მაყურებლის დაბნევა რათა მაყურებელმა ურთიერთსაპირისპირო ინფორმაციის მიღებით ვეღარ შეძლოს რეალური სურათის დანახვა.

რუსული პროპაგანდის მიერ ისტორიის ფაბრიკაციაში ყველაზე დიდი წილი საბჭოთა წარსულის გაყალბებაზე და საბჭოთა წყობის მიმართ ნოსტალგიის გაღვივებაზე მოდის. ხდებოდა საბჭოთა კავშირის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამართლება და ისტორიული ფაქტების არასწორად წარმოჩენა, კერძოდ, კატინის ტრაგედიის, გოლოდომორის, უკრაინაში ჰოლოკოსტის, საბჭოთა კავშირის მიერ ლიტვის ოკუპაციის, 1937 წლის სტალინის რეპრესიების შესახებ.

პროპაგანდის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ქართულ მედიაში იყო აპრობირებული, ლიტერატურული ნაწარმოებებისა და სატირულ-იუმორისტული ამბების რეალურ ფაქტად წარმოჩენა იყო. მხატვრული ნაწარმოების, საბჭოთა რომან „მარადიული ძახილის“ (Вечный зов) ე.წ. „დალესის გეგმად“ წარმოჩენა ქართულ მედიაში 2015-2016 წლებშიც ხდებოდა და 2017 წელსაც ორჯერ განმეორდა. აღნიშნული კონსპირაციის თანახმად, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA)

უფროსმა ალენ დალესმა ცივი ომის დროს შეიმუშავა გეგმა, რომელიც საბჭოთა საზოგადოების მორალური ფასეულობების განადგურების გზით, საბჭოთა კავშირის დაშლას ისახავდა მიზნად. პროპაგანდისტული მედია პლატფორმები ასევე წყაროდ იყენებდნენ სატირულ-იუმორისტული ვებგვერდების მასალებს, რომელთაც საზოგადოებას რეალურ ამბად აწოდებდნენ. მაგალითად, ერთ-ერთი პუბლიკაცია, რომელიც ამტკიცებდა, რომ ვაშინგტონის სმითსონის მუზეუმის ღამის დარაჯი 2500 წლის მუმიის გაუპატიურებისათვის დააკავეს, მიზნად ისახავდა აზრის დამკვიდრებას, რომ ნეკროფილია დასავლური ცხოვრების წესია (კინწურაშვილი თ, 2017).

ასევე საინტერესოა Ad nauseam Ad nauseam-ის ტექნიკაც, რომელიც ერთი და იმავე იდეის განუწყვეტლივ განმეორებას გულისხმობს. ეს შესაძლოა იყოს იდეა, ან მარტივი სლოგანი, რომელსაც იმდენად ხშირად იმეორებენ, რომ ადამიანები მას იჯერებენ. ისევე, როგორც 2015-2016 წლებში, იმის საილუსტრაციოდ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოს ომის საფრთხისგან დაცვა არ ძალუძს, სხვადასხვა რესპონდენტები 2017 წელსაც ახმოვანებდნენ იდენტურ გზავნილს, რომ ამერიკა 2008 წლის ომის დროს საქართველოს მხოლოდ „წყლით და პამპერსით“ დაეხმარა. ამასთანავე, აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ მომავალში მსგავსი საფრთხის პირობებში სტრატეგიული მოკავშირის იმედი არ უნდა გვქონოდა (კინწურაშვილი თ, 2017).

მცდარი დილემის ანუ შავ-თეთრი აზროვნების ტექნიკა გულისხმობს მხოლოდ ორი ალტერნატივის დასახვას და ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭებას. იმის სადემონსტრაციოდ, რომ ნატოში ინტეგრაციის საფასური იმ ტერიტორიების დაკარგვა იქნება, რომელიც რუსეთს აქვს ოკუპირებული, სხვადასხვა წყაროების მცდარი დილემის ტექნიკას მიმართავდნენ (Damoukidebloba.com 2015).

აქტიურად გამოიყენებოდა დეფლექციური წყაროს ტექნიკაც, როცა გზავნილის ან ყალბი ინფორმაციის ლეგიტიმაციის მიზნით, პროპაგანდისტი ქმნის დეფლექციურ წყაროს, რომელსაც ინფორმაციის მიმღები არ აკავშირებს პროპაგანდისტთან და აღიქვამს იმ მედიუმის (დეფლექციური წყაროს) ინფორმაციად, რომელშიც ის გამოქვეყნდა. პროპაგანდის პირველწყარო

დეფლექციური წყარო ინფორმაციის მიმღებ დეფლექციურ წყაროებად ძირითადად ისეთი ცნობილი მედია საშუალებების სახელებს იყენებენ, როგორიც Fox-ი, Guardian-ი, Usa-radio-ა. მაგალითად, ყალბი ინფორმაცია და ფოტოები, ასევე ყალბი ვიდეო იმის შესახებ, რომ თურქები ცოცხალი სირიელი ბავშვების ორგანოებით ვაჭრობენ, ქართულენოვანმა ვებ-პორტალმა Foxnews.ge-მ ბერძნულენოვან Hellasforce.com-ზე დაყრდნობით გაავრცელა. აღნიშნული ფაბრიკაცია, რომელიც სოციალურ ქსელში ვირუსულად გავრცელდა, ანტითურქული განწყობების გაღვივებას უწყობს ხელს, რაც ანტიდასავლური დისკურსის შემადგენელია და რუსეთის საფრთხიდან აქცენტის სხვა საფრთხეებზე გადატანას ისახავს მიზნად. საგანგებოდ შეიქმნა ბრიტანული გამოცემა The Guardian-ის ვიზუალურად იდენტური ვებ-გვერდი, რომლის url მისამართი რეალური The Guardian-ისგან ერთი ლათინური ასო – i – თი განსხვავდებოდა (www.theguardan.com). ფსევდო გარდიანის მიერ გამოქვეყნებული ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელის ყალბი ინტერვიუ, თითქოს აშშ და დიდი ბრიტანეთი სამხრეთ ოსეთში სამხედრო და სადაზვერვო ბაზების განლაგებას და კავკასიის დესტაბილიზაციაში რადიკალი ისლამისტების ჩართვას გეგმავდნენ, ქართულ მედიაშიც გავრცელდა. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს იმ რუსულენოვან მედია პლატფორმებს, სადაც ქართული მედია საშუალებების იდენტური ყალბი ინფორმაციები გამოქვეყნდა, ხოლო ქართულ მედიას რუსული წყაროების იდენტიფიცირება არ მოუხდენიათ (კინწურაშვილი თ, 2017).

4.2. რუსული პროპაგანდისტული ნარატივები და მითები

საქართველოში რუსული პროპაგანდის ნარატივები ძირითადად წარმოდგენილია სამი დომინანტური ნარატივით, რომელიც მუდმივად ისმის პრორუსული საინფორმაციო საშუალებების მხრიდან:

- სარწმუნოება, როგორც ერთიანობის საფუძველი;
- ნაციონალური იდენტობა;
- კულტურული სიახლოვე;

თითოეულ ამ დისკურსს თავისი მქადაგებელი ჰყავს (შესაბამისად – სასულიერო პირების ნაწილი, ანტიდასავლური პოლიტიკური ძალები და საბჭოთა ინტელიგენციის ნაწილი), თუმცა საზოგადოებრივი დისკურსის აქტორები, ჩვეულებრივ, სამივე მათგანით თანაბრად ოპერირებენ. ამ ნარატივების საფუძველზე იქმნება და კულტივირდება პოლიტიკური მითების მთელი არსენალი, რომელთა მიზანია, ერთი მხრივ, რუსეთის (ან მისი ხელმძღვანელის) მესიანური როლის დამკვიდრება და, მეორე მხრივ, დასავლეთის პოლიტიკური სისტემისა და ღირებულებების დაკნინება. აღნიშნული მითები კი შემდეგნაირად გმოიყურება:

დასავლეთი ებრძვის ქართულ მართლმადიდებლურ რწმენას და ტრადიციებს - ეს მითი არის ანტიდასავლური ძალების მიერ წარმოებული პროპაგანდის მთავარი არგუმენტი, რომელსაც ერთნაირი ინტენსივობითა და წარმატებით მიმართავენ როგორც პოლიტიკოსები, ისე სასულიერო პირები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები და რომელთაც აქტიურ პროპაგანდას უწევს ანტიდასავლური/პრორუსული მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ თემაზე არსებული დისკურსი ხშირად ჰომოფობიითა და სიძულვილის ენით არის გაჟღენთილი. ის ხშირად მიმართულია ისეთი სოციალური და ეროვნული უმცირესობების მიმართ, როგორებიცაა ლგბტ თემი, მუსულმანები, თურქები, ებრაელები, სომხები და ა.შ. სამწუხაროდ, ამ მითის კულტივირებაში აქტიურობენ საქართველოს ეკლესიის კონსერვატიული ფრთის წარმომადგენლები. ძნელია იმის თქმა, საერთოდ, ეკლესიის რა ნაწილს შეადგენენ ისინი, არიან უმრავლესობაში თუ უმცირესობაში, თუმცა საგულისხმოა, რომ ბევრი მაღალი რანგის სასულიერო პირი ქადაგებებში თანმიმდევრულად ავითარებს თეზისს რუსეთთან ერთობისა და დასავლეთთან მსოფლმხედველური და მორალური შეუთავსებლობის შესახებ. ეს ფაქტორი განსაკუთრებით საყურადღებოა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუციებისადმი ნდობის ბოლო დროინდელ კვლევებში მტკიცედ იკავებს პირველ ადგილს (mythdetector.ge, 2018)

რუსეთი არის საქართველოს ეკონომიკური განვითარების და მოსახლეობის კეთილდღეობის გასაღები - ამ მითის პროპაგანდისტები ცდილობენ, დაარწმუნონ

მოსახლეობა, რომ ევროკავშირი საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განადგურებას და ქვეყნის საკუთარი პროდუქციის გასაღების ბაზრად გადაქცევას ცდილობს. (mythdetector.ge, 2018)

დასავლეთი მხარს უჭერს კონკრეტულ ძალებს და არა საქართველოს სახელმწიფოს - ეს უაღრესად სახიფათო მითია, რომელსაც, სამწუხაროდ, ადაპტირებისათვის მნიშვნელოვანი ბაზა გააჩნია. მისი პროპაგანდისტები იღებენ ცალკეული ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსების, პოლიტიკური ჯგუფებისა და ექსპერტების ცალკეულ განცხადებებს, ხშირად შესაბამისი კონტექსტის გარეშე და მათ მთელი დასავლეთის ან დასავლეთის სახელმწიფოების ოფიციალურ პოზიციად ასაღებენ. ხშირად დასავლელი პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განცხადებები საქართველოში პოლიტიკური გამოცდილების ან შესაბამისი ცოდნის არქონის პირობებში ყოფილი მთავრობის მხარდაჭერის გამოვლინებად საღდება. (EI-LAT, 2016)

რუსეთი არის ისტორიული მტრისგან, ისლამური სამყაროსგან დაცვის ერთადერთი საშუალება - ამ მითმა 2015 წლის 24 ნოემბრიდან თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების შემდეგ დიდწილად თურქოფობიის ფორმა შეიძინა (კინწურაშვილი თ, 2017).

რუსეთის უძლეველობის/რუსეთის მმართველის უძლეველობის მითი - ამ მითის თანახმად, მსოფლიო პოლიტიკური სისტემა ორპოლუსიანია, რომელსაც ორი ზესახელმწიფო – ამერიკა და რუსეთი მართავს. ამ მითის ერთ-ერთი ვარიანტია პუტინის, როგორც სუპერლიდერის, მითი, რომელმაც დაამყარა წესრიგი თავის ქვეყანაში და ახლა მსოფლიო წესრიგისთვის იბრძვის. ამ მითის თანახმად, დასავლეთს სუსტი, უნიათო ლიდერები მართავენ, რომლებსაც არ შეუძლიათ თანამედროვე მსოფლიოს წინაშე არსებულ პრობლემებთან გამკლავება, მათ შორის კი რუსეთის ლიდერი მოხერხებით, სიმტკიცითა და პრინციპულობით გამოირჩევა (mythdetector.ge, 2018).

ევროპა და ამერიკა საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ითხოვენ - ეს, ერთი შეხედვით, ყოველგვარ საღ აზრს მოკლებული მითი

საქართველოს რელიგიურ და ნაციონალისტურ რადიკალურ წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ მითის პროპაგანდისტებს ხშირად მოჰყავთ რუსეთის "მისაბამი" მაგალითი, რომელმაც 2013 წლის ივნისში ერთხმად მიიღო ფედერალური კანონი "ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის შესახებ", რომელსაც პრეზიდენტმა პუტინმა ორიოდე კვირაში ხელი მოაწერა. ამ დისკრიმინაციულმა კანონმა, რომელიც მკაცრად დაგმეს ადამიანის უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა მთელ მსოფლიოში, კიდევ უფრო განამტკიცა პუტინის ავტორიტეტი ქართველ რადიკალებში. განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ საქართველოს პარლამენტმა, სამღვდელოებისა და ნაციონალისტების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 2014 წლის მაისში მიიღო კანონი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ." (EI-LAT, 2016)

4.3. საქართველოში ევროსკეპტიციზმის ზრდის მიზეზები

ევროპული კურსის მხარდაჭერის შემცირება აისახება საზოგადოების პრო-რუსულ განწყობებზეც. ევროსკეპტიციზმის ზრდას ხელი შეუწყო რუსეთის რბილმა პოლიტიკამ, კერძოდ კრემლის ანტიდასავლურმა რიტორიკამ და პროპაგანდამ. თუმცა ევროკავშირის მხარდაჭერის შემცირება მარტო მოსკოვის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი არაა, ეს განაპირობა სხვა შიდა ფაქტორებმაც.

ვ.ჩხიკვაძე (2015) ასახელებს სულ მცირე 4 მიზეზს, რამაც განსაზღვრა ევრაზიული კავშირის მხარდაჭრის ზრდა საქართველოში: 1. ახალი მთავრობის პირობებში შედარებით უფრო თავისუფალი მედია გარემო და სიტყვის გამოხატვის საშუალება, მათ შორის პრო-რუსული დამოკიდებულების 2. მთავრობის მიერ მიღებული 2014-2017 წლებისთვის ევროკავშირთან ინტეგრაციის ინფორმაციის და კომუნიკაციის სტრატეგიის არასათანადო იმპლემენტაცია. 3. მთავრობის მხრიდან არაპოპულარული ან მტკივნეული რეფორმების არასწორად ევროკავშირზე დაბრალება. მაგალითად 2014წ. სექტემბერში სავიზო რეგულაციები ზოგიერთი

სახელწიფოსთვის გამართლებული იყო ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა. 4. პრო-ევროპული მთავრობის არაპოპულარული ნაბიჯები (მაგ. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება) ნეგატიურად აისახება ევროკაშირის მიმართ დამოკიდებულებაში (Chkhikvadze, 2015).

აგრეთვე, უნდა აღინიშნოს მთავრობის შერბილებული პოლიტიკა რუსეთის მიმართ. თუ წინა მთავრობის პოლიტიკა იყო მკვეთრად ანტირუსული. რეჟიმის ცვლილების შემდეგ მოსული ხელისუფლება ერიდება მკაცრი განცხადებების გაკეთებას რუსეთის მისამართით. მთავარი აქცენტი კეთდება რუსეთთან ურთიერთობაში მიღწეულ წარმატებაზე ეკონომიკურ სფეროში და ნაკლებად საფრთხეებსა და პოლიტიკურ სირთულეებზე.

როგორც ევრაზიული თანამშრომლობის ფონდის კვლევაში (2015) იყო აღნიშნული 2013-წლიდან ქართულენოვან მოსახლეობაში 15%-ით გაიზარდა იმათი წილი ვინც თვლის, რომ ევროკავშირის პოლიტიკა საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს. ეს ტენდენცია ევროკავშირზე საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობის და ანტიდასავლური პროპაგანდის მოქმედების მაჩვენებელია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2004-12 წლებში პრო-ევროპული მთავრობისადმი იმედგაცრუების ზრდა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში შესაძლოა ევრო-ინტეგრაციის მხარდაჭერის შემცირებასაც იწვევდეს, განსაკუთრებით გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, ვინაიდან ქვეყნის პრო-ევროპულმა კურსმა არ გააუმჯობესა მათი ცხოვრების პირობები.

საგარეო პოლიტიკური ნარატივი პერიოდულად იცვლებოდა და უფრო მეტად რეაქციული იყო. თავდაპირველად, მეტი ყურადღება ეთმობოდა დასავლური ინსტიტუტების მიმართ სკეპტიციზმის გაღვივებას. ნატოში გაწევრიანება შეუძლებლად, ხოლო საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები უპერსპექტივოდ იყო წარმოჩენილი.

ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებში მნიშვნელოვანი წინსვლის (ასოცირების შესახებ შეთანხმება და ვიზა ლიბერალიზაცია) შემდეგ, ძირითადი ყურადღება ევროკავშირთან ინტეგრაციის ღირებულებით შეუსაბამობაზე

იყო გადატანილი. ევროკავშირში განვითარებული მოვლენებიც არ დარჩა უყურადღებოდ - საბერძნეთის ეკონომიკური პრობლემები, ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვება, პოლონეთის მთავრობის წინააღმდეგობა ევროპული ინსტიტუტების მიმართ გამოყენებულია ევროკავშირის, როგორც საერთო ევროპული პროექტის, მარცხის მაჩვენებლად.

ნატოს შემთხვევაში, შენარჩუნებული ერთი მუდმივი გზავნილი - თუ რამდენად შორეული პერსპექტივაა და საფრთხის შემცველია საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება. ეს გზავნილი ნელ-ნელა, თუმცა ეფექტიანად მოქმედებს საქართველოს მოსახლეობაზე. ყირიმის ანექსიისა და სირიაში რუსეთის სამხედრო ოპერაციების შემდეგ, ნატო წარმოჩენილია, როგორც წამგებიანი და სტატიკური სამხედრო ალიანსი, მაშინ როდესაც რუსეთის აგრესიული სამხედრო ექსპანსია ნატოზე უპირატესობის მტკიცებულებად არის გამოყენებული. ასევე, ხდება ნატოსა და რუსეთის ქმედებების ერთმანეთთან შედარება და პარალელების გავლება (სერბეთი-უკრაინა, ლიბია-სირია, აშშ-ის ინტერვენციები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში).

დასკვნა

ნაშრომის მიზანი იყო პროდასავლური განწყობების შესწავლა საქართველოში რომელიც არ გაიზარდა საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პარალელურად, არამედ პირქით, 2012 წლიდან მოყოლებული უფროდაუფრო მცირდება. ამის მიზეზი არის რუსეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკის გააქტიურება და პრო-ევროპული მიმართულების მხარდაჭერის შემცირება, რაც სხვადასხვა შიდა თუ გარე ფაქტორებმა განაპირობა. რუსეთის პოლიტიკის შეფასება მოხდა ნაის რბილი ძალის კონცეფციის გამოყენებით და მისი რუსული ინტერპრეტაციის გაანალიზებით.

რუსეთის გაზრდილი ინტერესი რბილი ძალის მიმართ გამოიხატა მეტი რესურსების ჩადებით სააგენტოებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საინფორმაციო საშუალებებში რუსეთის პოზიტიური და სასურველი იმიჯის შესაქმნელად. ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების საპასუხოდ, კრემლმა ასევე გამოიყენა სხვადასხვა ინტრუმენტები მიმზიდველობის გასაზრდელად განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში (მაგ. ბაზრის გახსნა, სავიზო რეჟიმის გამარტივება).

საქართველოს მოსახლეობაში აშკარად არსებობს არასწორი ინფორმირებულობის პრობლემა, რაც თავისმხრივ არასწორი მოლოდინების მიზეზი გხდება. ამ მოლოდინების გაუმართლებლობას ემატება რუსული „რბილი ძალის“ წყაროების გააქტიურებაც, ეს კი ქვეყანაში პრო-რუსული განწყობების განვითარებას უწყობს ხელს. ამ ყველაფერს შეუძლია სერიოზულად შეაფერხოს დასავლეთის მიმართულებით განვითარება, თუმცა რუსული „რბილი ძალის“ პოტენციალი მაინც შეზღუდულია იმედენად, რომ მან საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებაზე ზეგავლენა მოახდინოს. ამის მიზეზი კი ასეთია: ევროკავშირს, რომელიც რუსეთის ალტერნატივაა, მასთან შედარებით გააჩნია დიდი უპირატესობა ეკონომიკური განვითარების, დემოკრატიული ღირებულებების, ცხოვრების დონის მაღალი სტანდარტების თვალსაზრისით მაშინ, როცა რუსეთი საკუთარ რბილ გავლენას ამყარებს გარკვეული მცირე ჯგუფების აქტივობაზე, ანტი-დასავლურ რიტორიკაზე საკუთარი პროპაგანდისტული მეთოდების გამოყენებით, ასევე ქვეყნის შიდა სისუსტეებით მანიპულაციაზე.

ამ ყველაფერს ემატება რბილის ძალის პარალელურად საქართველოს ტერიტორიაზე ხისტი ძალის გამოყენებაც, ანუ ოკუპაციის ფაქტორი. ხისტი ძალის პოლიტიკა მიმართულია საქართველოს მოსახლეობაში შიშისა და დაძაბულობის განცდის შესანარჩუნებლად. ე.წ. „საზღვრის“ უკანონო გავლება, ისევე როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მუდმივი სამხედრო წვრთნები მკვეთრი გზავნილია საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომ რუსეთი მზადაა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ხისტი ძალა. ეს ყველაფერი რუსეთის მცდელობას წარმოაჩინოს საკუთარი იმიჯი პოზიტიურ ჭრილში მეტნაკლებად აფერხებს.

ამრიგად, 2012 წლის შემდეგ რუსული რბილი ძალის გაძლიერება აისახა საქართველოს მოსახლეობის პროდასავლურ განწყობებზე, რომლის შემცირების პარალელურად ქვეყანაში იზრდება პრორუსული განწყობები და ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მსურველთა რაოდენობა. ამას შეუძლია სერიოზულად შეაფერხოს დასავლეთის მიმართულებით ქვეყნის განვითარება, თუმცა ახლო მომავალში საქართველოს პროდასავლური გზიდან გადახვევა ნაკლებ მოსალოდნელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი (EI-LAT) (2016) რუსეთის რბილი და ხისტი ძალის საფრთხეები საქართველოში.

2. ზურაბიშვილი,თ. (2006), თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, სოციალური მეცნიერებების ცენტრი;

3. ინტერნეტგაზეთი „ტაბულა“ (2015). ფულადი გზავნილების სისტემების სტატისტიკა. ვებ-გვერდი: http://www.tabula.ge/ge/story/98906-fuladi-gzavnilebis-sistemebis-statistika ნანახია: 30.05.2018

4. ინტერნეტგაზეთი Civil.ge (2016) *ალასანიამ მმართველი კოალიცია დატოვა .* ვებ-გვერდი: http://www.civil.ge/geo/article.php?id=28817 ნანახია: 1.06.2018

5. ინტერნეტგაზეთი Civil.ge (2016) *ბურჯანაძე მოსკოვში კარასინს შეხვდა.* ვებ-გვერდი: http://www.civil.ge/geo/article.php/article.php?id=30134 3.06.2018

6. ინტერნეტგაზეთი Interpressnews (2012) *კახა კუკავა მოსკოვში შეხვედრებს მართავს.* ვებ გვერდი: http://www.interpressnews.ge/ge/politika/221119-kakha-kukava-moskovshi-shekhvedrebs-marthavs.html?ar=A ნანახია: 3.06.2018

7. ინტერნეტგაზეთი News.ge (2015). *საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების რაოდენობა დაახლოებით, 1 607 744 შეადგენს.* ვებ-გვერდი: http://news.ge/ge/news/story/133086-idfi-sazghvargaret-mtskhovrebi-qartvelebis-raodenoba-daakhloebit-1-607-744-adamians-sheadgens ნანახია: 29.05.2018

8. ინტერნეტგაზეთი Timer.ge (2015) *ჯონდი ბაღათურია მოსკოვში გაემგზავრა.* ვებ-გვერდი: http://www.timer.ge/ ნანახია:

9. ინტერნეტპორტალი Damoukidebloba.com (2015) *რუსეთის საინფორმაციო ომი - სტრატეგიები და მიზნები.* ვებ-გვერდი: http://damoukidebloba.com/c/news/sainformacio_omi ნანახია: 18.06.2018
10. ინტერნეტპორტალი Damoukidebloba.com (2015). *„ევრაზიის ინსტიტუტი და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები“.* ვებ-გვერდი: http://damoukidebloba.com/c/news/evraziis_instituti_da ნანახია: 18.06.2018
11. ინტერნეტპორტალი Damoukidebloba.com (2015). *რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე.* ვებ-გვერდი: http://damoukidebloba.com/c/news/rusuli_gavlena 18.06.2018

12. კინწურაშვილი, თ. (2015) *ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიამონიტორინგის ანგარიში 2014-15.*

13. კინწურაშვილი, თ. (2015) *ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიამონიტორინგის ანგარიში 2014-15.* (მედიის განვითარების ფონდის კვლევის ფარგლებში)

14. კინწურაშვილი, თ. (2018) *ანტიდასავლური პროპაგანდა 2017* (მედიის განვითარების ფონდის კვლევის ფარგლებში)

15. საქართველოს ეროვნული ბანკი (2016). ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით. ვებ-გვერდი: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 ნანახია 8.05.2017

16. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2015) *საქართველოს ექსპორტი ქვეყნების მიხედვით.* ვებ-გვერდი: http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo ნანახია 13.05.2018

17. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2018) *გზავნილების მოცულობა საქართველოში ქვეყნების მიხედვით.* ვებ-გვერდი: http://geostat.ge/?action=page&p_id=949502018lang=geo ნანახია 12.05.2017

18. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2018) *საქართველოს ექსპორტი ქვეყნების მიხედვით.* ვებ-გვერდი: http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=2018-geo ნანახია: 7.05.2017

19. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტის შემაჯამებელი ოქმი; ვებ-გვერდი: http://cesko02-01.itdc.ge/ge/mediisatvis-4-ge/pres-relizebi-13-ge/saqartvelos-centraluri-saarchevno-komisiis-2008-wlis-5-ianvris-plebiscitis-shedegebis-shemadjamebeli-oqmi-2818.page ნანახია: 17.04.2018

20. ფხალაძე, თ (2015) *Soft Power – რუსული პოლიტიკის თანამედროვე იარაღი.* ვებ-გვერდი: http://www.icgs.ge/soft-pover-rusuli-politikis-tanamedrove-iaragi.html ნანახია: 17.05.2018

21. შტიობერი ს. & პარკოსაძე გ. (2016) *რუსეთის აქტივიზმი ქართულ სამოქალაქო საზოგადოებაში.* ინტერნეტგაზეთი „ლიბერალი“http://liberali.ge/articles/view/20761/rusetis-aqtivizmi-saqartvelos-samoqalaqo-sazogadoebashi ნანახია: 29.04.2018

22. Chkhikvadze, V. (2015) A Focus on Georgia. In G. Gromadzki, B. Sendhardt (eds.) *Eastern Partnership Revisited. Associated Countries in Focus* (pp. 23-46). The Stefan Batory Foundation & Friedrich-Ebert-Stiftung Representation in Poland

23. Cwiek-Karpowicz, J. (2012). *Limits to Russian Soft Power in the Post-Soviet Area. DGAPanalyse*. N8. ვებ-გვერდი: https://dgap.org/en/article/getFullPDF/21791 ნანახია 20.05.2018

24. Ferguson, N. (2009), "Think Again: Power", Foreign Policy, available at: http://foreignpolicy.com/2009/11/03/think-again-power/ ნანახია: 17.04.2018
25. Gray C.S. (2011), "Hard Power and Soft Power: The Utility of Military Force as an Instrument of Policy in the 21st Century"
26. Hall, T. (2010) "An Unclear Attraction: A Critical Examination of Soft Power as an Analytical Category", in *The Chinese Journal of International Politics*, Vol. 3
27. IDFI (2015). *რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში - კვლევის ანგარიში.*
28. IRI (2015). *საზოგადოებრივი აზრის კვლევის ანგარიში - 2015 წლის თებერვლის შედეგები.*
29. Kapanadze, S. (2015).Russia's Soft Power in Georgia – A Carnivorous Plant in Action. In T. Rostoks and A. Spruds (Eds.),*The different Face soft Power': the Baltic States and Eastern Neighborhood between Russia and the EU* (pp.162-183). Latvian Institute of International Affairs.

30. Kiseleva, Y. (2015) Russia's Soft Power Discourse: Identity, Status and the Attraction of Power. *POLITICS.* VOL 35(3-4), 316–329.
31. Kudors, A. (2010, June 16). "Russian World"—Russia's Soft Power Approach to Compatriots Policy. Russian analytical digest 81/10.
32. Makarychev, A. (2011). Hard Questions About Soft Power: A Normative Outlook at Russia's Foreign Policy. DGAPanalyse kompakt No.7

33. Matsuda,T. (2007) *Soft Power and its perils: US Cultural Policy in Early Postwar Japan and Permanent Dependency* (US, Stanford University Press)
34. Mattern, J.B., (2005) "Why 'Soft Power' Isn't So Soft: Representational Force and the Sociolinguistic Construction of Attraction in World Politics", in *Millenium – Journal of International Studies*, v. 33, n. 583.
35. Michael Barnett and Raymond Duvall, "Power in International Politics" in *International Organization* (US, IO Foundation: 2005) p. 39.
36. NDI Georgia (2015) *საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2015 წლის ნოემბრის კვლევის შედეგები* https://www.ndi.org/files/NDI_Winter%20poll_2015_Public%20presentation_GEO_version%20FINAL_0.pdf ნანახია: 20.04.2018
37. NDI Georgia (2015) *საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2015 წლის აპრილის კვლევის შედეგები.* ვებ-გვერდი: https://www.ndi.org/April-2015-Public-Opinion-Poll-Georgia ნანახია: 20.04.2018

38. NDI Georgia (2016) *საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2016 წლის მარტის კვლევის შედეგები ვებ-გვერდი:* https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia_March%202016%20poll_Public%20Issues_GEO_vf.pdf ნანახია: 22.04.2018

39. NDI Georgia (2018) *საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2018 წლის მარტის კვლევის შედეგები ვებ-გვერდი:*

https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia_March%202018%20poll_Public%20Issues_GEO_vf.pdf 22.04.2018

40. NDI Georgia (2012) *საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2012 წლის კვლევის შედეგები* https://www.ndi.org/files/NDI_Winter%20poll_2012_Public%20presentation_GEO_version%20FINAL_0.pdf ნანახია 27.04.2018
41. NDI Georgia (2013) *საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2013 წლის ნოემბრის კვლევის შედეგები* https://www.ndi.org/files/NDI_Winter%20poll_2013_Public%20presentation_GEO_version%20FINAL_0.pdf ნანახია 27.04.2018

42. Nye, j. (1990), "Soft Power", Foreign Policy, n. 80, Twentieth Anniversary
43. Nye, J. (2004). *Soft power: the means to success in world politics*. New York: Public Affairs.
44. Nye, J. (2004). *Soft power: the means to success in world politics*. New York: Public Affairs
45. Nye, J. (2011). *The Future of Power*. New York: Public Affairs.
46. Nye, J.(2008) "Public Diplomacy and Soft Power", in *Annals of American Academy of Political and Social Science*, vol. 616, "Public Diplomacy in a Changing World",
47. Sergunin, A., Karabeshkin, L.(2015). *Understanding Russia's Soft Power Strategy. POLITICS*: Vol. 35, issue3-4.
48. Tsygankov, A. P. (2006) If Not by Tanks, then by Banks? The Role of Soft Power in Putin's Foreign Policy. *Europe-Asia Studies*. Vol. 58, No. 7: 1079 – 1099.

49. Winnerstig, M. (2014). Introduction. In M. Winnerstig (ed.) *Tools of Destabilization Russian Soft Power and Non-military Influence in the Baltic States*.

50. ექსპერტული ინტერვიუ: ჟურნალისტ თამარ კინწურაშვილთან, 12 ივლისი, 2018;
51. ექსპერტული ინტერვიუ: ეკონომისტ ამირან ძოწენიძესთან, 9 ივლისი, 2018;

დანართი N1

სადისკუსიო გეგმა

1. თქვენი სახელი, გვარი, პროფესია და საქმიანობის სფერო
2. როგორ ფიქრობთ, რამდენად გააქტიურდა წინა წლებთან შედარებით რუსული რბილი ძალა 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდგომ? (თუკი თვლით რომ გააქტიურდა, გთხოვთ ისაუბროთ ამის მიზეზებზე)
3. როგორ შეაფასებდით საქართველოს მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკას რუსული რბილი ძალის, როგორც საქართველოსათვის მნიშვნელოვანი საფრთხის წინააღმდეგ?
4. რუსულ კომპანიებს ქართულ ენერგოსექტორში დიდი გავლენა გააჩნია - ისინი ფლობენ წილებს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ენერგო ობიექტებში. რამდენად შეიძლება ეს წარმოადგენდეს საფრთხეს საქართველოსთვის როგორც ეკონომიკურ ისე პოლიტიკურ ასპექტში?
5. რამდენად მნიშვნელოვანია რუსეთის ბაზარი ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის და რა როლს თამაშობს რუსული ბაზრის მიმზიდველობა საქართველოს მოქალაქეების განწყობებზე?
6. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში საქმიანობს ღიად აფიქსირებს პროსრუსულ პოზიციებს. გთხოვთ, გაიხსენოთ ასეთი ორგანიზაციები და შეაფასოთ, რამდენად შედეგიანი შეიძლება იყოს მათი ქმედებები გრძელვადიან პერპექტივაში?
7. ბოლო პერიოდში საქართველოში მომრავლდნენ ორგანიზაციები და მოქალაქეთა გაერთიანებები, რომელთა გაცხადებული იდეოლოგია ნაციონალიზმია. ისინი გამოირჩევიან ანტიდასავლური რიტორიკით. თქვენი აზრით, არსებობს პირდაპირი კავშირი ქართულ ნაციონალისტურ დაჯგუფებებსა და რუსეთის რბილ ძალას შორის?
8. ზოგადად, რუსეთი მართლმადიდებლობას პოლიტიკური ბრძოლის იარაღად იყენებს. როგორ ფიქრობთ, არის ან შეიძლება იყოს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია რუსული რბილი ძალის ერთ-ერთი საყრდენი?

9. თვლით თუ არა, რომ საქართველოში არსებობენ პოლიტიკური სუბიექტები და პოლიტიკოსები, რომლებიც ატარებენ რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს? (თუ თვლით, რომ არიან, გთხოვთ დააკონკრეტოთ რომელ სუბიექტს ან პოლიტიკოსს მოიაზრებთ?)
10. (თუკი თვლით, რომ საქართველოში არსებობენ პოლიტიკური სუბიექტები და პოლიტიკოსები, რომლებიც ატარებენ რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს, მაშინ) ახდენენ თუ არა ისინი მნიშვნელოვან ზეგავლენას საქართველოს მოსახლეობის პოზიციებზე ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით?
11. რუსეთ-საქართველოს შორის არსებული საინფორმაციო ომის პირობებში რა საფრთხის მომტანი შეიძლება იყოს რუსული მედიასაშუალებების ხელმისაწვდომობა საქართველოს ტერიტორიაზე?
12. თქვენი შეფასებით რამდენად ძლიერია რუსული პროპაგანდის ელემენტები ქართულ პრესასა და მედიაში?
13. საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით (მაგ.: NDI, IRI) მოსახლეობის განწყობები საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში საკმაოდ მერყევია. თქვენი აზრით, რამდენად არის ეს რუსული რბილი ძალის პირდაპირი ზეგავლენის შედეგი?
14. რუსული რბილი ძალის გარდა კიდევ რა ფაქტორებმა შეიძლება იქონიოს გავლენა საქართველოს მოსახლეობაში ევროსკეპტიცისმის გაძლერებაზე?
15. თქვენი აზრით, სამომავლოდ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რუსული რბილი ძალის შეზღუდვისათვის?